წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები [illegible]: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

სამშაბათი, 26 იანვარი 1932 წ. № 22 (3276)

ყრილობის შედეგები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მერვე ყრილობამ დაასრულა თავისი მუშაობა. ეს ყრილობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიაში უთუოდ დაიჭერს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს. ყრილობა შეიკრიბა სწორედ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დასასრულს, როცა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება, როცა ჩვენ შევუდექით ხუთწლედის მეოთხე — უკანასკნელ წელს და უკვე ისახება ახალი ხუთწლედის კონტურები, — ხუთწლედის, რომელიც თავის გიგანტურობით გაუგონარ მოვლენას წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) მერვე ყრილობა განსაკუთრებით განირჩევა აგრეთვე ყველა ადრინდელ ყრილობებისაგან იმითაც, რომ ის მიმდინარეობდა საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ, ის მიმდინარეობდა ამიერ - კავკასიისა და საქართველოს პარტ - ორგანიზაციების ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომებისა და უპრინციპო ჯგუფობრიობის გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკის საფუძველზე.

რაში გამოიხატება ძველი ხელმძღვანელობის სერიოზული პოლიტიკური შეცდომები? საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილებაში ნათქვამია:

„...ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ნაც-კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაობაში დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში“...

ამრიგად ხელმძღვანელობამ ვერავითარი გაკვეთილი ვერ გამოიტანა 1930 წლის გაზაფხულის შეცდომებიდან სოფლად მუშაობის დარგში. უხეში ადმინისტრატიული გადახრები, ხეპრული დამოკიდებულება საშუალო გლეხობასთან, ღარიბი გლეხკაცობას შორის მუშაობის სრული მივიწყება, კოლექტივიზაციის თავაწყვეტილი ტემპებით განვითარება კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცების გარეშე, — დამზადებათა არარეალური გეგმები, თვითკრიტიკის ჩახშობის ოფიციალურად დაკანონება, როგორიც იყო, მაგალითად, ძველი ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი დადგენილება, სადაც ადგილობრივ მუშაკებს ეკრძალებოდათ საკითხის დასმა გეგმების გადასინჯვის შესახებ — ასეთი იყო საქ. კომპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის „პოლიტიკა“ სოფლად მუშაობის დარგში.

ყოველივე ამას თან ახლდა კადრების შერჩევის და განაწილების ყოვლად უპრინციპო მეთოდები — მუშაკთა დაყენება საქმეზე არა მათი უნარის და გამოცდილების, არამედ მათთან პირადი დამოკიდებულების მიხედვით. შედეგათ მივიღეთ ის, რომ მთელ რიგ დამზადებათა დროს, როგორიც იყო სიმინდის და ხორცის დამზადება, შეხებულ იქნა ამ პროდუქტების არა მარტო სასაქონლო, არამედ სამომხმარებლო ნაწილიც. საშუალო გლეხკაცობისადმი დამოკიდებულების საქმეში ლენინური პოლიტიკის ელემენტარული მოთხოვნილების დავიწყებამ მიგვიყვანა მთელ რიგ უხეშ შეცდომებამდე, რომლებითაც ისარგებლა კლასობრივ მტერმა თავისი პოზიციების გასამაგრებლად.

მაგრამ არა მარტო ამაში გამოიხატა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები. უხეშად იქნა დამახინჯებული ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკაც. გადაჭარბებულმა ცენტრალიზაციამ მიგვიყვანა ცალკე რესპუბლიკათა გაუპიროვნებისა და მათი სამეურნეო თვითმოქმედების მოდუნებამდე.

საქართველოს კომპარტიის მერვე ყრილობამ გამოამჟღავნა ამ სერიოზულ შეცდომათა მრავალი ახალი ფაქტი, მოგვცა ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის ნამდვილად ბოლშევიკური შეფასება. ყველა ეს შეცდომები გამომჟღავნებულ იქნა პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო დახმარებით და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას ხელმძღვანელობით. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ უფრო უკეთ გაშალოს ბრძოლა დაშვებულ შეცდომათა აღმოფხვრისათვის, რომ მან უკლებლივ და რაც შეიძლება ახლო დროის განმავლობაში განახორციელოს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილება, საჭიროა შეცდომების მთლიანად გამომჟღავნება, ძველი ხელმძღვანელობის ცალკე წარმომადგენელთა სრული განიარაღება, მათ მიერ შეცდომების სრული აღიარება. ამიტომ სავსებით გასაგები იყო ყრილობის წინა დღეებში ჩატარებულ სარაიონო და საქალაქო პარტკონფერენციების მოთხოვნა, რომ ძველი ხელმძღვანელობის წარმომადგენელთ აშკარად და გადაჭრით გამოეთქვათ თავისი დამოკიდებულება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებისადმი და ბოლომდე ეღიარებინათ თავიანთი უხეში პოლიტიკური შეცდომები.

ყრილობამ მოისმინა ყოფილი ხელმძღვანელობის ორი მთავარი წარმომადგენლის ამხ. მამულიას და სუხიშვილის სიტყვები. უნდა ითქვას, რომ არც სუხიშვილის და განსაკუთრებით არც მამულიას გამოსვლა არ მოწმობს, რომ ძველმა ხელმძღვანელობამ რაიმე გაკვეთილი გამოიტანა იმისაგან, რაც მოხდა. არაგულწრფელობა, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი საკუთარ შეცდომებზე, უხეირო ცდა, რომ თავისი დანაშაული სხვისთვის მოეხვიათ თავზე, უსუსური, პირდაპირ მიუტევებელი მტკიცება, რომ შეცდომები „შეგნებით არ იყო ჩადენილი“. ამნაირად ძველი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა ამხ. სუხიშვილმა, ოკუჯავამ და განსაკუთრებით კი მამულიამ არ გამოიჩინეს ბოლშევიკური პირდაპირობა. მიუხედავად დელეგატების მიერ დაჟინებით დასმულ მრავალ კონკრეტულ კითხვებისა, ისინი შეეცადნენ ფონს გასულიყვნენ საერთო ფრაზებით შეცდომების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) მერვე ყრილობამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენებაც. მოხსენების გარშემო გამართული კამათი ბევრ საგულისხმო მასალას აძლევს ჩვენი პარტიის საკონტროლო ორგანოს მისი შემდგომი მუშაობისათვის. მთავარი, რაც ამ შემთხვევაში იპყრობს ყურადღებას, ესაა ბოლშევიკური სიფხიზლის უქონლობა და უძლურება, რომელიც გამოიჩინა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ძველმა ხელმძღვანელობამ, და ეს მაშინ, როცა პარტიის საკონტროლო კომისია მოწოდებულია პირველმა იბრძოლოს ბოლშევიკური ხაზის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ. როგორ მოხდა, რომ მთელ იმ მრავალ უმსგავსობათა ფაქტები, რომლებსაც აღნიშნავდნენ დელეგატები თავიანთ სიტყვებში, საკონტროლო ორგანოების თვალთახედვის არეს გარეთ დარჩნენ? როგორ მოხდა, რომ პარტიის რაისაკონტროლო კომისიები ვერ ამჩნევდნენ ბოლშევიკური პოლიტიკის უხეშ დამახინჯებებს, რომელთაც მთელ რიგ რაიონებში ერთგვარი გამწვავებაც კი გამოიწვიეს? რატომ მოხდა, რომ ატამანშჩინის ელემენტებს საკონტროლო კომისიამ არა თუ არ გამოუცხადა ნამდვილად ბოლშევიკური ბრძოლა, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ უწყობდა მათ ხელს? ეს მოხდა იმიტომ, რომ პარტიის საკონტროლო ორგანოებმა ადგილებზე ბევრ შემთხვევაში დაჰკარგეს თავიანთი სახე, დაჰკარგეს საკუთარი ინიციატივა მუშაობაში. და, რაც მთავარია, ეს მოხდა იმიტომ, რომ პარტიის საკონტროლო ორგანოებში ძველი ხელმძღვანელობის დროს არ იქნა შერჩეული სათანადო მუშაკები. დავიწყებას მიეცა ის, რომ ამ ორგანოებში უნდა გაიგზავნოს „ყველაზე უკეთესი, რაც კი რამ არის ჩვენს სოციალურ წყობილებაში“ (ლენინი).

აქედან ჩვენ შესაფერი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. საჭიროა მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ პარტიის საკონტროლო ორგანოები გამაგრებულ იქნან საუკეთესო მუშაკებით.

თავის დადგენილებაში საქ. კ. პ. (ბ) მერვე ყრილობამ მოგვცა საქართველოს სახალხო მეურნეობის გაშლილი მუშაობის პროგრამა. საქართველოს მრეწველობამ დიდი დეფიციტით დაამთავრა წარსული წელი. ხუთწლედის მეოთხე და საბოლოო წელი გვავალებს ძალების მაქსიმალურად დაჭიმვას არსებულ დანაკლისის შევსებით და ნამდვილად ბოლშევიკური ტემპების განსავითარებლად. ამას გვავალებს უდიდესი კაპიტალური დაბანდებანიც, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობისათვის. ეს კი პირველყოვლისა მოითხოვს მასების უფრო მეტ მობილიზაციას ბელადის ექვს მითითებათა ცხოვრებაში უკლებლივ გატარებისათვის, რადგან ამ მხრივ დიდი ჩამორჩენები გვაქვს.

ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმით, რომ საქართველოს მრეწველობამ, მიუხედავად საერთო ჩამორჩენისა გეგმების შესრულების მხრივ, პროდუქციის 44 პროცენტით ზრდა მოგვცა. უნდა გვახსოვდეს, რომ 1932 წელი არის ხარისხისათვის ბრძოლის წელი. ამიტომ საწარმოო-საფინანსო გეგმებისათვის ბრძოლის დროს პარტიის ამ დირექტივას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. მთელი პარტია, პროფესიონალური კავშირები, კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციები, კოოპერაცია ერთსულოვნად უნდა დაირაზმონ მრეწველობის დარგში არსებულ ჩამორჩენათა სალიკვიდაციოთ.

ყრილობა განსაკუთრებით შეჩერდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები განსაკუთრებით გვაკისრებს მაქსიმალურად უზრუნველვყოთ სოფლად სწორი ლენინური ხაზის გატარება. მთავარია ამჟამად საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანია. მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ შეცდომების გამოსწორება საფუძვლად დაედოს ამ კამპანიის ბოლშევიკურად გაშლას. სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ღარიბ და საშუალო გლეხს, როგორია ნამდვილად ბოლშევიკური პოლიტიკა სოფლად. როგორ უნდა იბრძოდნენ სოფლის ორგანიზაციები სოციალისტური სექტორის შეუჩერებელი ზრდისათვის. ერთ - ერთ ძირითად მომენტს ძველი ხელმძღვანელობის მთავარი შეცდომისას (გლეხურ საკითხში) წარმოადგენდა კოლექტივიზაციის ციფრების ხელოვნური გაბერვა. საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ამ შეცდომის გამოსწორებას. ეს გვავალებს მთელი ძალღონე მივმართოთ არსებულ კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებისაკენ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მერვე ყრილობა წარმოადგენდა ჩვენი პარტიის ნამდვილად ბოლშევიკური მონოლიტობის საუკეთესო დემონსტრაციას. ის ერთსულოვნება, რომელიც ახასიათებდა ყრილობას მთელ მუშაობაში, ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების დაუზოგავი მხილება, იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია — გაკაჟებული მენშევიზმთან, უკლონიზმთან, ტროცკიზმთან, მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრებთან ბრძოლაში — კვლავ იქნება საკავშირო კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ღირსეული რაზმი, რომ საქართველოს კომპარტია ახალი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით შესძლებს ძველის მიერ დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას და სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის მითითებისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) მერვე ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე.

მრეწველობის განვითარების შედეგები 1931 წლის და 1932 წლის ამოცანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეზისები ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენციაზე—ძირითადათ მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის პოლიტბიუროს მიერ

I

1931 წლის შედეგები

მე-17 პარტიული კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მრეწველობამ, რომელიც ეყრდნობოდა წინანდელი წლების პოლიტიკურ და სამეურნეო მიღწევებს, 1931 წელი ახალი გამარჯვებებით დაამთავრა.

მთელი სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1931 წელს უდრიდა 27 მილიარდ მანეთს, რაც იძლევა ზრდას 21 პროცენტით 1930 წელთან შედარებით. იმ მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ, რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აგეგმარებს, მიაღწია 21,8 მილიარდ მანეთს, აქედან მძიმე ინდუსტრიის ხაზით—11,8 მილიარდ მანეთს,—ზრდა შეადგენს 20 პროცენტს 1930 წელთან შედარებით. ასეთი ზრდა არ ახსოვს არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოსათვის. კაპიტალიზმის საუკეთესო პერიოდებშიც კი.

1931 წელში მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა 2 ნახევარ—3 წელში მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალება (ნავთის მრეწველობა, ელექტროტეხნიკა, მანქანათმშენებლობა, საკონდიტრო და საკონსერვო მრეწველობა).

1931 წლის შედეგებით უზრუნველყოფილია ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულება მრეწველობის ხაზით.

ამავე დროს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში 1931 წელი იყო კაპიტალიზმის ისტორიაში უსასტიკესი, უმაგალითო კრიზისის გაგრძელების და გაღრმავების წელიწადი, რაც იწვევდა წარმოების უდიდესად შეკვეცას და მშენებლობის თითქმის სრულიად შეჩერებას. უმუშევართა რიცხვმა ევროპასა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში გადააჭარბა 25 მილიონ კაცს. ძალზე შემცირდა ხელფასი. ხდება ათეულ მილიონ მშრომელთა აბსოლუტური გაღატაკება. ამავე დროს კი საბჭოთა კავშირში სავსებით აღმოფხვრილია უმუშევრობა. წარმოებასა და მშენებლობაში დაბანდებული მუშათა რიცხვი 1931 წელს გაიზარდა 2 მილიონი კაცით, ხელფასი გადიდდა 6 პროცენტით 1930 წელთან შედარებით.

ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დადასტურდა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

მთელი მრეწველობის საერთო ზრდასთან ერთად, 1931 წელს ხდებოდა უღრმესი ხარისხობრივი გარდატეხა თვით მრეწველობის შიგნით და პარტიის, დამკვრელების, სამეურნეო მუშაკ-ორგანიზატორების, საუკეთესო საინჟინრო-ტეხნიკური მუშაკების ძალღონის დაჭიმვით, მთელი მუშათა კლასის ძალღონის დაჭიმვით ფართო მასშტაბით ტარდებოდა ახალი ტეხნიკის დანერგვა და ახალ წარმოებათა მოწყობა.

წარმოების ტეხნიკის დაუფლებით სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში და ქარხანა „კრასნი პუტილოვეც“-ში, სატრაქტორო ქარხნების ამუშავებით და წარმატებით გაშლით მთელი მანქანათ-მშენებლობის რეკონსტრუქციით, კომბაინების დამამზადებელი ქარხნების ამუშავებით და გაშლით, მოსკოვის და ნიჟეგოროდის საავტომობილო ქარხნების ამუშავებით,—ყოველივე ამით შეიქმნა მძლავრი საწარმოო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის შემდგომ ტეხნიკურ ხელ-ახალ შეიარაღებას, აქედან სოფლის მეურნეობის შეიარაღებასაც.

1932 წელს პირველად მოეწყო და გაიშალა მანქანების და მსხვილი მოწყობილობის წარმოება ელექტროფიკაციისა, ნავთის, ქვანახშ. მრეწველობისა და შავი მეტალურგიისათვის. მოეწყოს მანქანების და მსხვილი მოწყობილობის წარმოება მაღალ ხარისხოვანი ფოლადისაგან. პირველად იქნა ფართოდ გამოყენებული ავტოგენური და ელექტრო შედუღება. ვითარდება კალიუმის, აზოტის და ფოსფორის სასუქების წარმოება. ვითარდება ხელოვნურ ბოჭკოს წარმოება.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებულ კურსთან შეფარდებით 1932 წელს გრძელდებოდა, ამასთან საგრძნობლად გადიდებული რაოდენობით, საშუალებათა შემდგომი დაბანდება მრეწველობის ახალ მშენებლობაში. მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში, რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს, 1931 წელს დაბანდებულ იქნა 7 მილიარდი მანეთი, რაც აღემატება წინა ორნახევარი წლის დაბანდებებს ერთად აღებულს, დაბანდებულია სამ ნახევარი მილიარდი მანეთი ახალი ძირითადი კაპიტალი, ე. ი. იმდენივე, რამდენიც წინანდელ ორ ნახევარ წელიწადს ერთად.

ამრიგად, 1931 წელი გადამწყვეტი გარდატეხის წელიწადია ახალი ძირითადი კაპიტალის გამოყენების მხრით. რაც არის, ერთის მხრივ, თვით მშენებლობის დაჩქარების, ხოლო მეორეს მხრით—წინანდელ წლებში დაწყებული მთელი რიგი უმსხვილესი ობიექტების მშენებლობის დამთავრების შედეგი. 1931 წელს და 1932 წლის იანვარში დამუშავდა ნიჟეგოროდის საავტომობილო ქარხანა, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, მოსკოვის საავტომობილო ქარხანა, ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის პირველი რიგი, სარატოვის კომბაინების ქარხანა, ურალის სპილენძის გამომდნობი ქარხანა, ხიბინის აპატიტები. ნავთის გადამამუშავებელი მილსარები, კრეკინგები, მათ შორის კრეკინგი, რომელიც დამზადებულია საბჭოთა ინჟინრების—მუხოვის და კაპელიუშნიკოვის სისტემით.

მალე ამუშავდება მაგნიტოგორსკის და კუზნეცკის ქარხნების პირველი რიგი, ბერეზნიაკის პირველი რიგი, ნევის და ვოსკრესენსკის ქიმიური ქარხნები ბურთო-საკისურების („შარიკო პოდშიპნიკი“) ქარხანა, დაზგის და იარაღის მშენებელი ქარხნები მოსკოვსა და ნიჟეგოროდში. მოეწყო ქვანახშირის 79 მაღარო 28 მილიონი ტონის სიმძლავრით, ელექტრონის სადგურები ერთი მილიონი კილოვატის სიმძლავრით. ე. ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც ორ წინანდელ წელიწადში (ზუევის, შტეროვის, კუზნეცკის, მაგნიტოგორსკის, ბერეზნიაკის, თბოელექტრო-ცენტრალი და სხვ.) გარდა ამისა, მუშაობამ დნეპროვსკის ჰიდრო ელექტრონულ სადგურზე, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, 1931 წლის განმავლობაში იმდენად წაიწია წინ, რომ იგი უზრუნველყოფს მის ვადამდე დამთავრებას და 1932 წლის ზაფხულზე ამუშავებას.

ეს მსხვილი ობიექტები და ახალი მძლავრი ელექტროსადგურების ამუშავება ძირეულ ცვლილებას იწვევენ სახალხო მეურნეობის ტეხნიკურ ბაზაში და ქმნიან ახალ შესაძლებლობას სწრაფი წინსვლისათვის.

მაგნიტოგორსკის და კუზნეცკის მეტალურგიული ქარხნების და მათთან საკოქს-ქიმიური კომბინატების მშენებლობის წარმატებით გაშლა, კუზნეცკის ქვანახშირის ბასეინის განვითარებასთან ერთად, ურალის მძიმე სამანქანათმშენებლო ქარხნის და სამთამადნო მოწყობილობათა ციმბირის ქარხნის მშენებლობა მკვიდრ საძირკველს უყრის ახალ მძლავრ საქვანახშირო - მეტალურგიულ ბაზას ურალ-კუზნეცკის კომბინატის სახით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო მე-16 პარტიული ყრილობის მიერ.

კაპიტალურ მშენებლობასა და წარმოების გაშლასთან ერთად, საბჭოთა მრეწველობა უმაგალითო მაშტაბებით ქმნიდა და ქმნის თავისი საჭიროებისათვის ახალ მუშათა და ტეხნიკურ კადრებს. 1,8 მილიონი მოსწავლე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სისტემაში—ასეთია 1931 წლის შედეგი კადრების მოსამზადებლად წარმოებული მუშაობის ხაზით. თუ 1931 წელს გამოშვებული იქნა 21.000 ახალი ინჟინერი-მექანიკოსი, 1932 წელს გამოშვებული იქნება 38.000, 1933 წელს—85.000. თუ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან 1931 წელს გამოშვებული იქნა 51.000 კაცი. 1931 წელს გამოშვებული იქნება 850.000.

ეს ახალი კადრები, რომელნიც რიცხვობრივად სწრაფად იზრდებიან, გამოიბრძმედიან ახალი ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში და წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს პირობას სოციალისტური მრეწველობის შემდგომი გაშლისათვის.

1931 წელი იყო აგრეთვე გადამწყვეტი წელი იმ მხრით, რომ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების მთელი ქსელი (საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიით დაწყებული და გათავებული დარგობრივი ინსტიტუტებით) მობრუნდნენ სოციალისტური მშენებლობის საჭიროებათა და მრეწველობასთან მჭიდროდ დაკავშირების მიმართულებით. (ინსტიტუტები და მათი ფილიალები წარმოების ადგილებზე განვლილ წელს გაიზარდა 141-დან 205 ერთეულამდე, სამრეწველო [illegible] სამეცნიერო მუშაკთა რიცხვი გაიზარდა 6.000-დან 12 ნახევარ ათასამდე, ამასთან საგრძნობლად მასში გადიდდა მუშათა ფენა). ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს მთელი რიგი უდიდესი სამეცნიერო-ტეხნიკური მიღწევები, რომლებიც განხორციელებულ იქნა ტეხნიკური რეკონსტრუქციის პროცესში. (თერმოგადამუშავება, სპეციალური ფოლადები, მსუბუქი ლითონები, ავიაცია, [illegible] მახები, ახალი საშენი მასალები, კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ნედლეულის ახალი სახეები და მთელი რიგი გაუმჯობესებანი ტეხნოლოგიურ პროცესებში).

1931 წელს დაიწყო შრომის ორგანიზაციის და მრეწველობის მუშაობის გარდაქმნა ამხ. სტალინის მიერ წამოყენებულ დებულებათა საფუძველზე, რომელთა განხორციელება წარმოადგენს პირობას მრეწველობის შემდგომი წარმატებებისათვის ახალ ვითარებაში: ხელფასის სისტემის გარდაქმნა. ბრძოლა გათანაბრებასა და გაუპიროვნებასთან. ბრძოლა მუშა-ხელის ცვალებადობასთან, ბრძოლა მუშა-ხელის მოწესრიგებული ჩაბმისათვის მრეწველობაში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გაერთიანებათა დაწვრილება მათი საწარმოებთან დაახლოების და კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით; მუშაობის შემდგომი გაშლა პროლეტარული საწარმოო-ტეხნიკური ინტელიგენციის მოსამზადებლად; დამოკიდებულების შეცვლა ძველი სკოლის საინჟინრო-ტეხნიკურ ძალებთან—მათ მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენის, მათი მუშაობაში უფრო მეტად მოზიდვის და ინიციატივის წახალისების მხრით.

ამგვარად, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი თავდება ისეთი შედეგებით, რომლებიც მოასწავებენ ახალი მძლავრი ტეხნიკური ბაზის შექმნას ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, პირველ რიგში—მძიმე ინდუსტრიის რეკონსტრუქციისათვის, ამითვე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს სოციალისტური მეურნეობის ძირითადი კაპიტალის პრობლემა, რაც მძიმე ინდუსტრიის გაშლის შემდგომ უდიდეს გაქანებასთან ერთად, იძლევა საშუალებას განვავითაროთ საკვები პროდუქტების მსუბუქი ინდუსტრია და სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის, ელექტრომშენებლობის და ქიმიური მრეწველობის მეშვეობით, ქმნის ტეხნიკურ საფუძველს სოფლის მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქციისა და მექანიზაციისათვის.

მე-17 პარტიული კონფერენცია აღნიშნავს, რომ უდიდესი წარმატებებით სრულდება პარტიის მე-16 ყრილობის მიერ გამოცხადებული (გამოტოვებულია) კურსი ჩვენი ქვეყნის გადამჭრელი ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების და დამთავრების და საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში.

ეს წარმატებები შესაძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობით მტკიცედ ტარდებოდა პარტიის გენერალური ხაზი — პარტიის, რომელმაც გაანადგურა კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმი და მემარჯვენე ოპორტუნისტები.

II

მრეწველობის მუშაობის მთავარი დეფექტები

მიუხედავად ყველა ამ უდიდეს მიღწევათა, 1931 წლის გეგმა რიცხვობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების მიხედვით არ არის მთლიანად შესრულებული. ამის ძირითადი მიზეზებია:

1. ტრანსპორტის ცუდი მუშაობა 1931 წლის პირველ კვარტალში, რამაც შეაფერხა მრეწველობის სწრაფი განვითარება.

2. დიდი დეფექტები თვით მრეწველობის მუშაობაში. უპირველეს ყოვლისა დეფექტები შრომის ორგანიზაციაში (განსაკუთრებით გაუპიროვნება), შრომის ხელფასის სისტემაში (გათანაბრება), შინასაქარხნო დაგეგმვის და ტეხნიკური ხელმძღვანელობის საქმეში, რამაც გამოიწვია შრომის ნაყოფიერების და თვითღირებულების გეგმის შეუსრულებლობა.

3. ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანიზაციების სიდიდე და მოწყვეტა წარმოებიდან და საწარმოების არა საკმაო კონკრეტული ხელმძღვანელობა გაერთიანებათა მხრით.

4. სამეურნეო ანგარიშის არა საკმაო დანერგვა.

5. შესრულების არა საკმაო შემოწმება.

კონფერენცია სთვლის, რომ ამ ძირითად დეფექტების აღმოფხვრისაკენ უნდა იყოს მიმართული პარტიის და მუშათა კლასის ძალები, რომ შესრულებული იქნას 1932 წლ. გეგმა. რომ უფრო მეტად, ვიდრე 1931 წელში, გამოვიყენოთ ის შესაძლებლობანი, რომლებსაც აძლევს მრეწველობას მეურნეობის სოციალისტური სისტემა.

III

1932 წლის გეგმა და მისი ძირითადი ამოცანები

მთელი მრეწველობისათვის საერთო პროდუქცია გეგმის მიხედვით 1932 წელში დაწესებულია 37,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით (ზრდა 31,8 პროც. 1931 წელთან შედარებით), თვითღირებულების შემცირება 7 პროც. მუშათა რიცხვი მთელს მრეწველობაში (მშენებლობის ჩართვით) უნდა გაიზარდოს 1.200.000 კაცით. ხელფასი — 11 პროცენტით მრეწველობაში და 5.6 პროც. მშენებლობაში. კაპიტალური სამუშაოები, რომლებიც დამოკიდებულია რიცხვობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულებაზე წარმოებაში, მთელს მრეწველობაში უკანასკნელ დამატებით ასიგნობებთან ერთად შეადგენს 12 მილიარდ მანეთს, აქედან მძიმე მრეწველობაში 9,2 მილიარდ მანეთს.

სახალხო მეურნეობის 1932 წლის გეგმის ცენტრალური ამოცანაა საწარმოო და სააღმშენებლო პროგრამის შესრულება შავ მეტალურგიაში, ნახშირის და მანქანათმშენებლობის დარგში.

1) ამასთან დაკავშირებით სამრეწველო გეგმის პირველი ძირითადი ამოცანაა შავი მეტალურგიის ჩამორჩენის უეჭველად დაძლევა და თუჯის წარმოების აყვანა 1932 წელში 9 მილიონ ტონამდე, ფოლადის—9,5 მილიონ ტონამდე. გატკეცის—6,7 მილ. ტონამდე, ხარისხობრივი ფოლადის ჩამოსხმა 660.000 ტონამდე. შავი მეტალურგიის სააღმშენებლო და საწარმოო პროგრამა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადოთ იქნება გამოყენებული საწარმოო საშუალებები, მატერიალური რესურსები, ენერგია, ცოდნა, მუშების, ტეხნიკური და სამეურნეო კადრების გამოცდილება და, პირველ რიგში კი, თვით შავი მეტალურგიის შესაძლებლობანი.

კონფერენცია ხაზს უსვამს, რომ მეტალურგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტეხნიკური ამოცანაა 1932 წელში ბრძმედებისათვის სათანადო მასალების სწორად მიწოდების უზრუნველყოფა.

ამ ამოცანის შესრულება მეტალურგიის მიერ უშუალოდ დაკავშირებულია ქვანახშირის, კოქსის და მადნის მრეწველობაზე. ქვანახშირის და კოქსის მრეწველობამ 1932 წელში უნდა მიაღწიონ მეტალურგიული ქარხნებისათვის მისაწოდებელი ნახშირის და კოქსის ხარისხის გაუმჯობესებას. ნაცრის და გოგირდის თვითეული ზედმეტი პროცენტი ნახშირში და კოქსში აუარესებს ბრძმედების მუშაობას, ზედმეტად ტვირთავს რკინის გზის ტრანსპორტს და იწვევს დიდ დანაკარგებს სახალხო მეურნეობაში.

კონფერენცია ყურადღებას მიაპყრობს ცეცხლგამძლე მასალების მრეწველობის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების აუცილებლობის საკითხებზე. 1932 წელში ცეცხლგამძლე მასალების მრეწველობამ არა მარტო სრულად უნდა შეასრულოს მიცემული პროგრამა, არამედ გამოუშვას ისეთი ცეცხლგამძლე მასალები, რომლებიც ხარისხით არ უნდა ჩამოუვარდებოდნენ საუკეთესო საიმპორტო მასალებს. ეს ეხება ცეცხლგამძლე მასალების როგორც სპეციალურ ქარხნებს, ისე მეტალურგიული ქარხნების ცეცხლგამძლე საამქროებს.

კონფერენცია კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის მუშაკების ყურადღებას მიაქცევს განსაკუთრებით სწორი მუშაობის აუცილებლობაზე მეტალურგიისათვის როგორც ძირითადი ნედლეულის (მადანი, კოქსი), ისე დამხმარე მასალების (მაგნეზიტები, ცეცხლგამძლე მასალები. ნედლეული ცეცხლგამძლე მასალებისათვის), მიწოდების დარგში. რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობამ 1932 წელში უნდა შექმნას მადნის და კოქსის ისეთი რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეტალურგიული ქარხნების შეუფერხებელ მუშაობას. კერძოდ, აუცილებელია უმოკლეს ვადაში განიტვირთოს კრივოი როგის ბასეინი მადნის დიდი რაოდენობისაგან, რომელიც იქ [illegible], და გაიგზავნოს ეს მარაგი ქარხნებში.

2) მრეწველობის 1932 წლის გეგმის შესრულების მეორე ძირითადი პირობაა—ნახშირის ამოღების გადიდება 90 მილიონ ტონამდე, კოქსის გამოწვა 13,4 მილიონ ტონამდე. ამ პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს შემდეგ საფუძველზე:

ა) მექანიზაციის შემდგომი განვითარება და შეუწყვეტელი ნაკადის შექმნა ამოღებისა და დატვირთვის საქმეში.

ბ) მაღაროების გათხრის დაჩქარება მექანიზაციის და დამუშავების ახალი საშუალებების გამოყენების გზით.

გ) მუშების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება, ახალი კადრების შექმნა და ამ ნიადაგზე სეზონური მუშაობის სრულიად მოსპობა.

იმ მიზნით, რომ გადაჭრით შემცირებულ იქნას შორეულ მანძილიდან მოზიდულ სათბობის ხმარება, კონფერენცია წინადადებას აძლევს სახკომსაბჭოს და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მასიური ყურადღება მიაქციონ სათბობის ადგილობრივ რესურსების განვითარებას (მოსკოვის მახლობელი ბასეინი, ჩერემხოვო, შორეულ აღმოსავლეთის ნახშირი, ფერგანის ნახშირი. უკრაინის, ურალის, ბორვინის ნახშირი, ტორფი და ფიქალები).

ავტო-სატრაქტორო პარკის სწრაფი ზრდა მოითხოვს ნავთის ამოღების და გადამუშავების შემდგომ განვითარებას, ნავთის მრეწველობის შემდგომ რეკონსტრუქციას და ღრმა ბურღვაზე გადასვლას, ნავთის ძიების გაძლიერებას ახალ რაიონებში და 1932 წლ. საწარმოო პროგრამის აუცილებლად შესრულებას.

3) სამრეწველო გეგმის მესამე ძირითადი ამოცანაა საკავშირო მანქანათ-მშენებლობის მრეწველობის შემდგომი გაშლა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალური სამუშაოების გეგმის შესრულება საბჭოთა კავშირში დამზადებულ მოწყობილობის გამოყენებით. ამასთანავე ორთქლმავალთა მშენებლობა, ვაგონების მშენებლობა, შავი მეტალურგიის და ნახშირის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება დაყენებული უნდა იქნას პირველი რიგის დამკვრელ ამოცანებს შორის.

ამ მიზნით აუცილებელია ყოველმხრივ დავაჩქაროთ ურალის კრამატორის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის, ციმბირის სამთო მოწყობილობის ქარხნის, ლუგანსკის ორთქლმავალთა მშენებლობის ქარხნის და ქვედა-ტაგილის ვაგონების საამშენებლო ქარხნის მშენებლობის დამთავრება და მათი ამუშავება.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ქალაქებისა და ახალი სამრეწველო ცენტრების ზრდა, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის აწევა, ახალ, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ სახალხო მეურნეობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც სამსახურს უწევენ სოფლის მეურნეობას, ქალაქს და მოსახლეობის კულტურულ საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ამიტომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1932 წელს უნდა უზრუნველყოს (გამოტოვებულია), რომლებიც სამსახურს უწევენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგებს, მსუბუქი ინდუსტრია, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობა, საკვები პროდუქტების მრეწველობა, კომუნალური მშენებლობა და იმ საწარმოთა მშენებლობა, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებანი.

1932 წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულ უნდა იქნას მანქანათმშენებლობა მოწყობილობის უფრო სრულად გამოყენებისათვის, მასალის ხარჯვის შემცირება პროდუქციის ერთეულზე და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ლითონის ეკონომიის მიზნით ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა კონსტრუქციათა გადასინჯვისათვის, რათა გამარტივდეს ისინი და შემცირდეს ზედმეტი მასალის ხარჯვა მათი დამუშავების დროს. შემცირდეს ჩამოსხმით სამჭედლოების მარაგები, [illegible] კონსტრუქციები შეიცვალოს შედუღებული კონსტრუქციებით. მოისპოს [illegible] საქონლის, [illegible] ნარჩენების [illegible], რათა მიღწეულ იქნას მანქანათმშენებლობისათვის გამოყოფილი ლითონის რაოდენობით ზედმეტი რაოდენობის მანქანების გამოშვება.

იმ მიზნით, რომ მანქანათმშენებლობა შეუფერხებლად იქნას მომარაგებული ლითონით, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეორე მეტალურგიას, მანქანათმშენებელი ქარხნების მეტალურგიის მაქსიმალურ განმტკიცებას და განვითარებას. იგი ჩაყენებულ უნდა იქნას ძირითად მეტალურგიასთან თანასწორ პირობებში ცეცხლგამძლე და სხვა მასალის მომარაგების მხრივ.

სახალხო მეურნეობის გეგმის ძირითადი ამოცანების, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის ხელმძღვანელი დარგების სწრაფი განვითარების ამოცანების უზრუნველყოფა მოითხოვს ენერგეტიული ბაზის შემდგომ გაფართოებას.

1932 წლის ელექტრომშენებლობის პროგრამა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის უდიდესი სიმძლავრის ახალი ელსადგურების აგებას დაახლოებით 1,5 მილიონ კილოვატით, რაც უდრის ელექტრომშენებლობის მთელ პროგრამას გეგმის მიხედვით. 1932 წლის ელექტროფიკაციის გეგმის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ჰიდრო სადგურების სიმძლავრის გადამწყვეტი გადიდება და თბოელექტროცენტრალების არა ჩვეულებრივად განვითარება (ჰიდროსადგურები დაახლოებით ნახევარი მილიონი კილოვატით. 16 თბოელექტროცენტრალის მშენებლობა 800.000 კილოვატის სიმძლავრით და თბოფიკაციური სიმძლავრის 800 ათასამდე კილოვატი 1932 წელს). ეს პროგრამა უნდა შევასრულოთ რაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ამრიგად 1932 წლის მშენებლობის პროგრამის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს ახალი კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი გარდატეხა ელექტრომომარაგების დარგში. ამ ამოცანის შესრულება ცალკე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ დაჩქარებით განვითარდეს მსხვილი ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობა, ტურბინებისა და ქვაბების მშენებლობა კერძოდ აგრეგატების დასამზადებლად დამხმარე მოწყობილობისა და აპარატურის წარმოება და რეპროდუქცია.

ფერადი მეტალურგიის დარგში, რომლის გეგმის შესრულებაზე დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგების მუშაობა, კონფერენცია პარტიულ ორგანიზაციების, მუშების, სამეურნეო მუშაკების, ინჟინერებისა და ტეხნიკოსების ყურადღებას მიაქცევს რაც შეიძლება მეტ საწარმოთა ამუშავებისა და საწარმოო პროცესის სწრაფად დაუფლების საჭიროებაზე როგორც მომქმედ, ისე ახლად ამუშავებულ საწარმოებში. ფერადი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის შემდგომი გაშლა ფართო მასშტაბით მოითხოვს მანქანათმშენებლობის შესაფერი დარგების ყოველნაირად განვითარებას და იმ სპეციალური მანქანებისა და აპარატების წარმოებას, რომლებიც დღემდე უცხოეთიდან შემოგვქონდა.

IV

წარმოების რაციონალური ორგანიზაცია, როგორც გეგმების შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობა

პარტიის მიერ დასახული ამოცანის შესრულება, მთელი სამრეწველო პროდუქციის გაზრდა 36 პროცენტით, კაპიტალური მშენებლობის განხორციელება 12 მილიარდი მანეთის ფარგლებში, აქედან მძიმე მრეწველობის მშენებლობის—9,2 მილიარდი მანეთის ფარგლებში,—მოითხოვს პარტიის, მუშათა კლასის, საინჟინერო-ტეხნიკური პერსონალისა და სამეურნეო მუშაკების მთელი ძალების დაჭიმვას.

მომქმედი ქარხნების მუშაობას და წარმოების ორგანიზაციას მათში პირველხარისხოვანი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მათ მიერ საწარმოო გეგმის შესრულება წარმოადგენს კაპიტალური მშენებლობის წარმატებით გაშლის აუცილებელ პირობას. 1932 წელს ამუშავდება უდიდესი სიმძლავრის ათეული და ასეული ახალი ან საფუძვლიანად გადაკეთებული საწარმოები. შეიარაღებული უახლესი მსოფლიო ტეხნიკით. საწარმოთა მთელი სიმძლავრის დაუფლება უმოკლეს ვადაში, ხელმძღვანელ კადრებისა და მუშა-ხელის შერჩევა და სწორი განაწილება, მთელი საწარმოსა და ყოველი დარგის, ყოველი მანქანის და აგრეგატის მუშაობის სწორი ორგანიზაცია და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდება როგორც ახალ, ისე ძველ საწარმოებში — ასეთია მრეწველობის გადამწყვეტი ორგანიზაციული ამოცანა 1932 წელს.

მე-17 პარტიული კონფერენცია საჭიროდ სთვლის:

ა) მოისპოს გაუპიროვნება. დამაგრებულ იქნას ყოველ დაზგასთან, ყოველ მანქანასთან, ყოველ აგრეგატთან და ყოველ სამუშაო ადგილზე მუდმივი მუშაკი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თავისი მუშაობისათვის.

ბ) ბოლო მოეღოს გათანაბრებას შრომის ხელფასში, რაც შლის საზღვარს კარგ და ცუდ მუშაობას შორის.

გ) წამოყენებულ იქნეს პირველ ადგილზე ოსტატის და ბრიგადირ-ინსტრუქტორის, როგორც შრომის პროცესის უშუალო ორგანიზატორების როლი, რისთვისაც საჭიროა ოსტატებისა და ბრიგადირების შემადგენლობის გულდასმით შერჩევა და მათთვის უკეთესი მატერიალური მდგომარეობისა და საჭირო სამეურნეო ავტორიტეტის უზრუნველყოფა საამქროსა და საწარმოში.

დ) საჭიროა მაქსიმალური მზრუნველობა და ყურადღება როგორც ძველი სკოლის, ისე ახალი თაობის საინჟინერო-ტეხნიკურ პერსონალისადმი. ტეხნიკოსებისა და ინჟინერებისათვის უზრუნველყოფილ იქნას საპასუხისმგებლო ხელმძღვანელთა შესაფერი ადგილი. აუცილებელია მათი ინიციატივის წახალისება ახალი წარმოების მოწყობის, სარაციონალიზაციო ღონისძიებათა გამონახვისა და გატარების, მასალის ეკონომიის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში და სხვ.

ე) შემდეგშიაც განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში და სახელშეკრულებო დისციპლინა.

ვ) უზრუნველყოფილ იქნას კონკრეტული ხელმძღვანელობა საწარმომდე და აგრეგატამდე, მიცემულ დავალების შესრულების გულდასმით შემოწმება და უზრუნველყოფა, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა მიერ წარმოების ტეხნიკური, ეკონომიური და ფინანსიური მხარის დაუფლება.

მე-17 პარტიული კონფერენცია იწონებს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას მსუბუქი მრეწველობისა და ხე-ტყის სახალხო კომისარიატების შექმნისა და ს.მ. საბჭოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესა-

კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესება

კონფერენცია სცნობს, რომ 1932 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებისა და წლის განმავლობაში ახალი საწარმოების მაქსიმალურად ამუშავებისათვის საჭიროა:

ა) იმ მატერიალური და ფინანსიური სახსრების კონცენტრაცია, რომლებიც დაბანდებულ უნდა იქნას წარმოებაში 1932 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად ან მთლიანად.

ბ) სეზონურობის მოსპობა, მთელი სააღმშენებლო ფრონტით მშენებლობაზე გადასვლა მთელი წლის მანძილზე უდიდესი სააღმშენებლო ორგანიზაციების 1931 წლის გამოცდილების და მუდმივ მშენებელ მუშათა გაზრდილი კადრების გამოყენებით.

გ) დამხმარე საწარმოების მოედნების მომზადება და თვით მშენებლობის წარმოების გეგმების ზუსტად დამუშავება.

დ) მექანიზაციის ფართოდ დანერგვა და მექანიზმების მთლიანად გამოყენება.

ე) ადგილობრივი საშენებელი მასალის ყოველმხრივ დანერგვა და განვითარება.

ვ) მუშაობის გადაჭრით გაგრძელება ლითონის შესაცვლელად ხით და რკინა-ბეტონით.

ზ) შემდგომი გადაჭრით გადასვლა სტანდარტულ და ნაკრებ მშენებლობაზე, გამოცდილებით გამართლებულ ნაგებობათა ტიპების დანერგვის საფუძველზე.

თ) შრომის ანაზღაურების პროგრესიულ-სანარდო სისტემაზე გადაჭრით გადასვლა და ცვალებადობასთან ბრძოლა.

ახალი ქარხნების სრული სიმძლავრის სასწრაფოდ გამოყენებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს გვიჩვენა 1931 წლის გამოცდილებამ, სწორ მზადებას ამ ქარხნების ასამუშავებლად. ამისათვის საჭიროა:

ა) საინჟინერო-ტეხნიკური კადრების, ინსტრუქტორების, ბრიგადირების და ახალი ქარხნების მუშა-ხელის თავის დროზე მომზადება.

ბ) მომიჯნავე საწარმოების და მომარაგების ბაზების თავის დროზე მომზადება.

გ) ცალკე უბნებისა და საამქროების უკვე მონტაჟის პროცესში გამოყენება ისე, რომ არ დაუცადოთ ქარხნის მთლიანად ამუშავებას.

1932 წ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ქარხნების საბინაო და კულტ.-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, რისთვისაც ყოველმხრივ გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი მასალა სტანდარტული და ნაკრები მშენებლობის ფართოდ შემოღებით.

VI

შრომის მექანიზაცია და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება

მე-17 პარტიული კონფერენცია პარტიული ორგანიზაციების და თვით მრეწველობის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა შრომის ტევადი მძიმე სამუშაოების მექანიზაციის დაჩქარება როგორც წარმოებაში, ისე მშენებლობაში, განსაკუთრებით კი ისეთ დარგებში როგორიცაა: ქვანახშირის, სამთამადნო, ხე-ტყის დამზადების, მეტალურგიის, სატრანსპორტო და დატვირთვა გადმოტვირთვის სამუშაოები.

მექანიზაციის ფართოდ დანერგვა სავსებით აუცილებელი ხდება როგორც იმ წარმოებისა და მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც მოითხოვენ ტვირთთა უდიდესი ნაკადის გადაზიდვას, ისე მძიმე და მავნე სამუშაოებში ხელით შრომის შეცვლისათვის.

კონფერენცია საჭიროდ სცნობს, რომ უკვე 1932 წლის გეგმაში გათვალისწინებულ იქნას მრეწველობის ზემოთ ჩამოთვლილი დარგების გაძლიერებით მომარაგება მექანიზმებით და სარკინიგზო საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებებით.

მრეწველობის მთელ შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს შრომის ნაყოფიერების სასწრაფოდ გადიდება, რაც სავსებით განსახორციელებელია ახალი მანქანებისა და აპარატურის შემოღების გამო.

მიმდინარე წელს მრეწველობის შინაგანი რესურსების და მალულ შესაძლებლობათა მობილიზაციის ზედმიწევნით მწვავე საჭიროება, ტეხნიკური რეკონსტრუქციის უდიდეს ამოცანების საფუძველზე, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს როგორც ეკონომიური (თვითღირებულება, შრომის ნაყოფიერება და სხ.), ისე ტეხნიკ. ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი, რომლებიც შეადგენენ მატერიალურ საფუძველს (მანქანებისა და აგრეგატების სიმძლავრის სათანადოთ გამოყენება, ღუმელების გამოყენების შესაფერი კოეფიციენტები, ტეხნოლოგიური პროცესების სათანადო სისწრაფე და სხვ.).

წარმოების რაციონალიზაცია და სტანდარტიზაცია, მასალის, განსაკუთრებით დეფიციტური მასალის, ხარჯვის უსასტიკესი ეკონომია, ლითონის ეკონომია ნაწარმოების ერთეულზე, ახალი ტეხნოლოგიური პროცესების სავსებით გამოყენება, დაუნდობელი ბრძოლა დანაკარგებთან, პროდუქციის განსაკუთრებით მეტალურგიის, [illegible] უზრუნველყოფა მადნის ხარისხიდან დაწყებული მზა ფაბრიკატამდე—ყველაფერი ეს წარმოადგენს გაუმჯობესების საჭირო წინასწარ პირობებს. ეს ამოცანები გვიკარნახებენ ტეხნიკის დაუფლების პროცესის შემდგომ გაშლას, სამეცნიერო-საგამომკვლევო დაწესებულებათა მრეწველობასთან სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის საფუძველზე, კერძოდ, საფაბრიკო-საქარხნო ლაბორატორიების გადაჭრით გაუმჯობესებას და მათი ახალ დიდ მშენებლობებთან მოწყობის საფუძველზე. სამეცნიერო - საგამომკვლევო დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ 1932 წლის გეგმის მიერ წამოყენებულ ამოცანებს. ტეხნიკური აქტივის და სამეურნეო მუშაკების ყურადღება მთელი სიძლიერით გამახვილებულ უნდა იქნას ტეხნიკური ხელმძღვანელობის ამოცანებზე. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება 1932 წლის გეგმის მიერ წამოყენებული ამოცანების ძლევამოსილად გადაჭრა.

VII

კადრები და საწარმოო ტეხნიკური პროპაგანდა

სახალხო მეურნეობის ხელახალი ტეხნიკური შეიარაღების ბოლშევიკური ტემპები მოითხოვენ კვალიფიციური შრომის უდიდეს ნამატს და მრეწველობის ტეხნიკური კადრების სწრაფ ზრდას. ეს უმაგალითო ტემპები და მუშათა ფართო ფენების და საინჟინრო-ტეხნიკური მუშაკების მიერ, მათ შორის ახალი მუშათა უდიდესი მასების მიერ, ახალი ტეხნოლოგიური პროცესების გამოყენების საჭიროება აუცილებელს ხდიან კადრების სტაციონალური სწავლების მთელი სისტემის ხაზით გეგმიანი მომზადების გარდა, საწარმოო ტეხნიკური პროპაგანდის ფართოდ გაშლას. კონფერენცია, რომელიც აღნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანიზაციებისა და პროფკავშირების მხრით ადგილი აქვს ამ საქმის მნიშვნელობის შეუფასებლობას, საჭიროდ სცნობს უზრუნველყოფილ იქნას საკმაო მატერიალური ბაზა საწარმოო ტეხნიკური პროპაგანდის მუშაობის ფართო გეგმის რეალიზაციისათვის 1932 წელს, კერძოთ, მრეწველობის ყველა დარგების სახელმძღვანელოების და ტეხნიკური ცნობარების [illegible] და გამოცემისათვის.

ისეთი კადრების მომზადება, რომელიც რიცხვობრივად და ხარისხობრივად შეეფერება სოციალისტური მრეწველობის უდიდეს განვითარებას, წარმოადგენს აუცილებელ პირობას 1932 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ეს ეხება როგორც საშუალო, ისე უმაღლეს ტეხნიკურ პერსონალს, აგრეთვე სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაკთა კადრებს. საჭიროა მიღწეულ იქნას აღნიშნული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება სტაციონალური სწავლების მთელ სისტემაში მისი ხარისხობრივი მხა-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) ცკას 31 ოქტომბრის დადგენილება

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) მერვე ყრილობაზე

ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც გახსნა დღეს პარტიის ყრილობა, და ამხ. მუსაბეკოვმა, რომელიც საკ.კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სახელით მიესალმა ყრილობას, გამიადვილეს შესავალი სიტყვა, რადგან საკმაოდ დაწვრილებით შეეხნენ საერთაშორისო მდგომარეობას და ამიტომ ჩემი მოხსენების ამ ნაწილს შევამცირებ.

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების) თავის მე-8 ყრილობაზე შეიკრიბა ისტორიულ დღეებში, როცა საბჭოთა ქვეყანამ საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, პარტიის, რომელსაც მეთაურობს ამხ. სტალინი, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი დაამთავრა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებით და შევიდა ხუთწლედის მეოთხე, უკანასკნელ წელიწადში.

ყოველმა ჩვენგანმა ნათლად და გარკვევით უნდა შეიგნოს ამ ისტორიულ დღეების მთელი სიდიადე:

დამთავრდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება საბჭოთა კავშირში.

ლენინის მიერ დასმული საკითხი „ვინ-ვის" საბოლოოდ და სამუდამოდ გადაიჭრა სოციალიზმის სასარგებლოდ მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც.

მიწადმოქმედების ცენტრალურ ფიგურას ამჟამად წარმოადგენს კოლმეურნე—საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენი სოფლად.

„ჩვენ— როგორც ამხ. სტალინმა სთქვა,—უდიდესი სისწრაფით მივდივართ ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ. უკან ვსტოვებთ ჩვენს საუკუნოებრივ „რუსულ" ჩამორჩენილობას, ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად, ტრაქტორიზაციის ქვეყნად. და როცა საბჭოთა კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს—ტრაქტორზე, აბა მაშინ სცადონ პატივცემულმა კაპიტალისტებმა, რომლებიც თავიანთი „ცივილიზაციით" ყოყოჩობენ, დაგვეწიონ ჩვენ. ჩვენ მაშინ ვნახავთ, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება „ჩაითვალოს ჩამორჩენილად და რომელი—მოწინავედ".

თუ ჩვენში, საბჭოთა კავშირში დამთავრდა სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის აშენება, თუ ჩვენ მივაღწიეთ ისეთ გამარჯვებას, რომელმაც უმაგალითოდ განამტკიცა პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა—მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მძლავრი, აუღებელი ციხე-სიმაგრე,—სამაგიეროდ იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება კრიზისი, შიმშილი და სიღატაკე.

მათთან

ჯერ კიდევ წლინახევრის წინად ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინმა ამომწურავად დაახასიათა ეკონომიური კრიზისი, რომელსაც განიცდის კაპიტალისტური მსოფლიო.

ამხ. სტალინი, აღნიშნავდა, რომ ეხლანდელი ეკონომიური კრიზისი, რომელიც ვითარდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ბაზაზე, **წარმოადგენს ჭარბი წარმოების კრიზისს, წარმოადგენს „პირველ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს ომის შემდეგ" არა მარტო იმ მიზნით, რომ მან მოიცვა ყველა სამრეწველო ქვეყნები, არამედ იმ მხრითაც, რომ „სამრეწველო კრიზისი დაიწყო სას.-სამ. კრიზისთან ერთად, რომელსაც განიცდის ყველა სახის ნედლეულისა და სურსათის წარმოება მსოფლიოს ძირითად აგრარულ ქვეყნებში.**

ბოლოს ამხ. სტალინმა აღნიშნა კრიზისის არათანაბარი განვითარება. მიუხედავად მისი საყოველთაო ხასიათისა, მან აღნიშნა ის ფაქტი, რომ „კრიზისის მოქმედება იწყება ამა თუ იმ ქვეყნებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ძალით".

განვლილმა წელიწადნახევარმა საუცხოვოდ დაადასტურა ეს დახასიათება და ახალი ფაქტებით გაამაგრა იგი.

გირვანქა სტერლინგის ოქროს სტანდარტზე ხელის აღება და მსოფლიო მნიშვნელობის ბანკების განუწყვეტელი კრახი მოწმობენ იმას, რომ კრიზისი განაგრძობს თავის გამანადგურებელ მოქმედებას წითელი საზღვრის იქეთა მხარეს და გამანადგურებელ ლახვარს სცემს საერთაშორისო კრედიტებს და ფულის სისტემას.

ამ ცოტა ხნის წინად „დოიჩე ბერგვერკსცეიტუნგს"—(გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ორგანოს) მოყავდა შემდეგი ციფრები ყველაზე უფრო მძლავრი კაპიტალისტური ქვეყნის—ამერიკის ბანკების გაკოტრების შესახებ.

ირკვევა, რომ 1928 წელს ჩრ.-ამ. შეერთებულ შტატებში გაკოტრდა 491 ბანკი, რომელთა ანაბარების საერთო თანხა უდრიდა 138 მილიონ დოლარს.

1929 წელს გაკოტრების რიცხვი გაიზარდა 642-მდე, ხოლო გაკოტრებულ ბანკების ანაბარების თანხა—234 მილიონ დოლარამდე.

1930 წელს გაკოტრებულ ბანკების რიცხვი აღწევს 1.345, მათი ანაბარების თანხა კი—865 მილიონ დოლარს,

1931 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში გაკოტრდა უკვე 1.753 ბანკი, რომელთა ანაბარების თანხა თითქმის ერთნახევარ მილიარდ დოლარს უდრის.

ეს მეტად თვალსაჩინო ციფრებია, ამხანაგებო!

როგორც ვიცით, იმპერიალისტურ ეპოქამდეც განიცდიდა კაპიტალიზმი პერიოდულ კრიზისებს. მაგრამ ეს იყო კრიზისები, რომლებიც ხელს უწყობდენ ტექნიკის განვითარებას და იწვევდენ კაპიტალის ახალ დაბანდებას.

ასეთი კრიზისების შესახებ მარქსი სწერდა, რომ ისინი იძლევიან **„ახალ მატერიალურ საფუძველს ბრუნვათა შემდეგი ციკლისათვის".**

ეხლანდელი ეკონომიური კრიზისი წარმოადგენს ლპობის კრიზისს: იგი ვითარდება კაპიტალიზმის კრიზისის ნიადაგზე, როცა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ხაზი მაღლა კი არ იწევს, არამედ ძირს ეშვება, როცა კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოები **აფერხებენ** საწარმოო ძალების განვითარებას, როცა საჭიროა რევოლუცია იმ ხუნდების დასამსხვრევად, რომლებიც ბოჭავენ ამ საწარმოო ძალებს.

აი ამიტომ ეხლანდელი ეკონომიური კრიზისი არ შეიძლება გადაიქცეს გამოსავალ წერტილად ტექნიკური პროგრესისათვის, **ვინაიდან თვით ტექნიკურ განვითარებას აბრკოლებს კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოები.** და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ კრიზისის დამპალ ნიადაგზე წარმოიშვა ტექნიკური რეგრესის რეაქციონური თეორიები, რომელთაც ქადაგებს ბურჟუაზიული მეცნიერება და რომელთა პოპულიარიზაციას ახდენს სოციალ-დემოკრატია—ბურჟუაზიის ეს მთავარი სოციალური დასაყრდენი.

„მანქანა—კაცობრიობის უბედურებაა მთელი მსოფლიოს უბედურებაა,—სწერს სოციალ-ფაშისტი გერზინგი. საჭიროა დავაბრუნოთ მანქანა ომის წინადროის მდგომარეობაში, და მაშინ ყველა უმუშევრები უმოკლეს ხანში მიიღებენ სამუშაოს".

აი მეორე ფაქტი:

„გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებათა გაერთიანება გერმანიის მრეწველთა გაერთიანებებთან ერთად მიმართავს ახალგაზრდობას მოწოდებით—უარი სთქვას უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლაზე იმ მოსაზრებით, რომ **სულერთია, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს მაინც უმუშევრობა მოელის".**

ამრიგად, იმ დროს, როცა ჩვენი ბელადის მოწოდების თანახმად, **ჩვენ ვანხორციელებთ მასების მიერ ტექნიკის დაუფლების ლოზუნგს,**—კაპიტალიზმის ბანაკში გაისმის მოწოდება ტექნიკური უკან დახევისაკენ (რეგრესისაკენ) და ეწევიან ტექნიკურ უვიცობის პროპაგანდას.

ამხანაგებო! თქვენთვის ცნობილია ისეთი ფაქტები, როცა ბურჟუაზია მასიურად ანადგურებს ჭარბ საქონელს ფასების გასადიდებლად და ჭარბი წარმოების კრიზისით შებორკილ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად. იმ დროს როცა მშრომელთა მილიონიანი მასები შიმშილობენ, მრეწველები ანადგურებენ ათეულ ათას ტონა საკვებ პროდუქტებს.

ბრაზილიაში სწვავენ ყავას, კანადაში ხორბლით ახურებენ ორთქლმავლებს ან პირუტყვს ჰკვებავენ.

ბალტიმორას მახლობლად ზღვაში ჩაძირეს მთელი გემის ტვირთი, რომელსაც მიჰქონდა ხილი ცენტრალური ამერიკიდან.

სარძეო ფერმებმა ოკლენდში (კალიფორნია) **მდინარეში გადაღვარეს 100 ათასი გალონი რძე (გალონი უდრის ერთ მესამედ ვედრას).**

ამერიკაში იმდენად დიდძალ რძეს ანადგურებენ, რომ, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატში ჯანმრთელობის დაცვის უწყების ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც აღნიშნავენ, რომ **„თუ რძეს დიდი რაოდენობით ღვრიან მდინარეებში, ამას შეუძლია გამოიწვიოს თევზის დაღუპვა"-ო.**

როგორც ვხედავთ, ამერიკის ბურჟუაზიის ჯანმრთელობის დაცვის უწყება უფრო მეტად ზრუნავს თევზის ჯანმრთელობაზე, ვიდრე მრავალმილიონ უმუშევარის ჯანმრთელობაზე, რომელთაც არავითარ დახმარებას არ უწევენ.

ჭარბი საქონლის განადგურება გადაიქცა ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, ნორმალურ მოვლენად თანამედროვე კაპიტალიზმისათვის.

წარმოება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ძალზე შემცირდა.

ასე, მაგალითად, ნოემბერში ფოლადის გამოდნობა 8 მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, საარის ოლქი და პოლონეთი) თითქმის სამჯერ შემცირდა კრიზისის წინა პერიოდთან შედარებით (1929 წლის მაისი), 9,5 მილიონ ტონიდან შემცირდა 3,9 მილიონ ტონამდე.

თუჯის გამოდნობა შემცირდა ორნახევარჯერ. ბამბეულის მრეწველობა ინგლისში დატვირთულია მხოლოდ 30 პროცენტით.

ხორბლის მსოფლიო წარმოება შემცირდა 25 პროცენტით.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი ასეული ასეთი მაგალითი ყველა ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგებიდან, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის გამოკლებით.

კაპიტალიზმის კრიზისი განსაკუთრებით მწვავედ აშკარავდება უმუშევრობის ზრდასა და მუშათა შრომის ხელფასის შემცირებაში. უმუშევრობა არაჩვეულებრივად გაიზარდა. 1931 წელს უმუშევართა რიცხვი 26 ქვეყანაში აღწევდა 40 მილიონს. კრიზისის ორი წლის მანძილზე გერმანიაში მუშათა შრომის ხელფასი შემცირდა 25 პროცენტით, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში—30 პროც., ინგლისში—20 პრ., იაპონიაში—35 პროც., საფრანგეთში—12 პროც. და სხვ.

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გაამწვავა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი, **ერთი მხრით საგაფიცვო ტალღის გაძლიერება ყველგან მასიური დემონსტრაციები, გააფთრებული შეტაკება ქუჩებში, კომუნისტური პარტიების გავლენის სწრაფი ზრდა ფართო მასებში, კერძოდ, სოციალ-დემოკრატ მუშათა მასებში და და მეორე მხრით ბურჟუაზიის ფაშიზაცია მოწმობენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, ძირითად მებრძოლ კლასების ძალთა საგრძნობ პოლიარიზაციას მსოფლიო ასპარეზზე.** ამასვე მოწმობს იმ სოციალ-დემოკრატიის „კვირტების გამოღების"-ს პროცესი, რომლითაც ცდილობს შეინარჩუნოს გარევოლიუციონერების გზაზე დამდგარი მუშათა მასები და ხელი შეუშალოს მათ გადასვლას კომპარტიაში.

ბურჟუაზიის ძალთა კონსოლიდაციის პროცესისათვის არა ნაკლებ დამახასიათებელია **ტროცკისტების დაახლოება „მემარცხენე" სოციალ-ფაშისტებთან და მათ მიერ „ნაკლები ბოროტების" [illegible] თეორიის პროპაგანდა** ბრიუნინგის, ჰიტლერის და სხვ. სასარგებლოდ.

რევოლიუციონური ანტიიმპერიალისტური ტალღის მძლავრი აზვირთება ინდოეთში, შეტაკებები სირიის ქალაქების ქუჩებში, ჩინეთის საბჭოების შეტევა და ბრძოლის მთელი რიგი სხვა ფაქტები კრიზისითა და იმპერიალისტური ჩაგვრით განაწამებ კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში მოწმობენ მეორე ჯგუფის წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავებას—წინააღმდეგობათა გამწვავებას იმპერიალიზმსა და კოლონიალურ ხალხთა შორის.

ბოლოს, სწრაფად იზრდება წინააღმდეგობანი კაპიტალისტებს შორის.

მწვავდება წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მწვავდება ვერსალის შემდგომი წინააღმდეგობანი.

ამერიკა-ინგლისი, ამერიკა-საფრანგეთი, ამერიკა-იაპონია, ინგლისი-საფრანგეთი, საფრანგეთი-გერმანია, საფრანგეთი-იტალია—ყოველივე ეს იმპერიალისტებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა სხვადასხვა ჯგუფებია.

ერთი მხრით მსოფლიო კრიზისის შემდგომი გაღრმავება და გაფართოება და მეორე მხრით ჩვენი ბუმბერაზული სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტი წარმატებანი უმაგალითო ძალით აშკარავებენ ძირითად წინააღმდეგობას, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ ღერძს: წინააღმდეგობა სოციალიზმის მშენებლობის პროცესში მყოფ სოციალიზმის სისტემასა და ძირგამომპალ კაპიტალიზმის სისტემას შორის.

კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობათა ზრდის მკაფიო მაჩვენებელია ომი მანჯურიაში.

რას მოასწავებს ეს ომი?

1) უწინარეს ყოვლისა, იმპერიალისტური შეტევის აქტივიზაციას კოლონიალურ მსოფლიოში (მანჯურიის ხელში ჩაგდება—პირველი ნაბიჯია ჩინეთის გაყოფისაკენ).

2) შემდეგ, იგი მოასწავებს შემდგომ შეტევას კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის საარსებო დონეზე (ვინაიდან ჩინეთის იაფი მუშახელის კოლონიალურმა ექსპლოატაციამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს მეტროპოლიების მუშათა მატერიალური პირობების გაუარესება).

3) შემდეგ, მანჯურიის ოკუპაცია მოასწავებს იმპერიალისტებს შორის წინააღმდეგობათა შემდგომ უაღრეს გამწვავებას კოლონიალური ნადავლის გაყოფის გამო (ამერიკა-იაპონია და სხვ.).

4) ბოლოს, მანჯურიის ხელში ჩაგდება მოასწავებს ძირითადი წინააღმდეგობის—ორი სისტემის წინააღმდეგობის გამწვავებასაც, ვინაიდან იაპონიის იმპერიალიზმი მანჯურიის გადაქცევით ანტისაბჭოთა პლაცდარმად ასრულებს მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს კოლექტიურ სურვილს და თავისი გეგმების ამ ნაწილში გამოდის საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ უმაღლესი კლასობრივი ინტერესების გამომხატველად, რომლებიც მიმართულია სოციალიზმის ციხე-სიმაგრის—საბჭოთა კავშირის დამხობისაკენ.

ამის დასამტკიცებლად, ამხანაგებო, მე არ მოვიყვან შესანიშნავ დოკუმენტს—იაპონიის ყოფილ პრემიერის ტანაკას მემორანდუმს, რადგან ქვენ მას, ალბად, იცნობთ მოხსენებიდან და გაზეთებიდან. ეხლანდელი ამბები მანჯურიაში ჯერ-ჯერობით ზედმიწევნით ვითარდება ამ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ 1927 წელს.

5) ყველა ზემოაღნიშნულ წინააღმდეგობათა გამწვავება კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს ომის საფრთხეს და განსაკუთრებით ანტისაბჭოთა ინტერვენციის საფრთხეს, ვინაიდან, როგორც ამხ. სტალინმა სთქვა—**„ყოველთვის, როცა კაპიტალისტური წინააღმდეგობანი მწვავდება, ბურჟუაზია იქცევა საბჭოთა კავშირისაკენ: შეიძლება თუ არა კაპიტალიზმის ამა თუ იმ წინააღმდეგობის ან ყველა წინააღმდეგობის ერთად გადაჭრა საბჭოთა კავშირის ხარჯზე".**

მთელი რიგი ბურჟუაზიული გაზეთები მოუთმენლად ელიან იაპონია-საბჭოთა ომს. გაზ. „ევრ"-ი ამ ცოტა ხნის წინად სწერდა:

„ომების შედეგად მეომარი მხარეები არასოდეს არ მდიდრდებოდენ, სამაგიეროთ მეზობელ ქვეყნებს ყოველთვის ეძლეოდათ საშუალება განთავისუფლებულიყვნენ ჭარბი საქონლისაგან".

ჟურნალ „ლე დავრ"-ი კი სწერდა:

„ყოველგვარ სენტიმენტალურ მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ომს შეუძლია დაგვიბრუნოს აყვავება მოხმარების ზრდის მეოხებით, რომელსაც იწვევს იგი".

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი ასეთი ციტატა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია ცდილობს შექმნას ომის კონიუნქტურა.

ბურჟუაზიას „აყვავების დაბრუნების" გარდა იმედი აქვს, რომ ომით თავს დააღწევს მოახლოებულ რევოლუციას, რადგან მსოფლიო ეკონომიური კრიზისი უკვე ღებულობს პოლიტიკური კრიზისის, რევოლიუციონური კრიზისის სახეს.

„საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის საფრთხე **გადაიქცა უშუალო საფრთხედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატისათვის**"—ნათქვამია კომინტერნის აღმასკომის მე-11 პლენუმის რეზოლიუციაში.

ეს უდავოა, როგორც უდავოა ის, რომ ბრძოლა ამ საფრთხესთან წარმოადგენს თვით პროლეტარიატის საქმეს.

ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად.

ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, ამხანაგებო, რომ მომაკვდავ კლასებს ნებაყოფლობით დაეთმოთ თავიანთი ადგილი სხვა კლასებისათვის.

ეს შეუძლებელია ჩვენს ეპოქაშიაც—სოციალისტური რევოლიუციის ეპოქაში.

ჩვენი სიფხიზლე უნდა გაძლიერდეს, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხები კვლავ გამახვილებულია.

ჩვენ წინანდებურად არ უნდა შევანელოთ ტემპები და შემდეგშიაც უნდა განვავითაროთ ჩვენი ბუმბერაზული სოციალისტური მშენებლობა.

ჩვენში

კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარე საყოველთაო კრიზისის ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ მოსჩანს ჩვენი მიღწევები, რომლებიც გამარევოლიუციონერებელ გავლენას ახდენს კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა და მშრომელ გლეხთა მასებზე, მოუწოდებს მათ იბრძოლონ კაპიტალისტური მონობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ჩვენში 1931 წელს ხუთწლედის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში 2 ნახევარ და 3 წელიწადში შესრულდა. ბაქოს ნავთის მუშათა გმირული ბრძოლით, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, **ნავთის ხუთწლედი** შესრულდა 2 ნახევარ წელიწადში, **ელექტრო-ტექნიკურმა მრეწველობამ, ტრაქტორების სააღმშენებლო მრეწველობამ და საერთოთ მანქანათმშენებლობამ** ხუთწლედი შესრულა 2 ნახევარ-3 წელიწადში.

1931 წელს სამრეწველო პროდუქცია—20-21 პროც., გაიზარდა 1930 წლის პროდუქციასთან შედარებით.

გასული წლის მარტო პირველი ნახევრის განმავლობაში ამუშავდა 188 ახალი საწარმო.

მე მინდა მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმე ცალკე ციფრი, რომელიც ახასიათებს ჩვენს გამარჯვებებს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადში.

აი ეს ციფრები:

1930 წელს გამოშვებულ იქნა 16.400 ტრაქტორი, 1931 წელს კი—56.000. ავტომობილი გამოშვებულ იქნა 33.900 ცალი, 25.000-ით მეტი, ვიდრე 1930 წელს, კომბაინი დამზადდა 5.000 ცალი.

1931 წელს საბჭოთა ქვეყანამ მოახდინა **უმუშევრობის ლიკვიდაცია.** იზრდება ინდუსტრიალურ პროლეტარიატის კადრები. მარტო ცენზიან (მსხვილ) მრეწველობაში 1932 წლის დამლევს მუშაობს ხუთი მილიონი კაცი. მუშათა კლასს შორის იზრდება ტექნიკური ინტელიგენცია: 1931 წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა ორ მესამედს მუშები შეადგენენ.

მშრომელთა სამუშაო ხელფასი 1931 წ. 18 პროც., გაიზარდა. 1932 წელს სამრეწველო მუშათა შრომის ხელფასი გაიზარდება 11 პროც., შრომის ხელფასის ფონდი გადიდებულია 1.690 მილიონი მანეთით.

1931 წელს აგებულ ახალ სახლებში ჩასახლდა 600.000 მუშის ოჯახი. 1932 წელს საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის გადიდებულია 1.942 მილიონი მანეთი, რაც ერთი ორად აღემატება 1931 წლის დახარჯულ თანხას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ საბჭოთა კავშირში მიაღწია ყველა ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა 62 პროცენტს. კოლექტივებში გაერთიანებულია მთელი სათესი ფართობის 79 პრ., რაც ნიშნავს კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის სამჯერ და კიდევ უფრო **გადაჭარბებით შესრულებას.** საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ მარცვლეულ რაიონებში კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია დამთავრებულია; 1932-33 წლები იქნება საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის ძირითადათ დამთავრების წლები.

1931 წელს მოეწყო მარცვლეულის 4.000 მეურნეობა, რომ აღარაფერი ვსთქვათ მეცხოველეობის, მეცხვარეობის და სამრეწველო საბჭოთა მეურნეობებზე, გასული წლის დამლევს საბჭოთა კავშირში მუშაობდა 1.400 სამანქანო-სატრაქტორო სადგური.

1932 წელს, რომელმაც უნდა დაამთავროს ხუთწლედის ოთხწლედში შესრულება, განსაკუთრებით მწვავედ ისმება სოციალისტური შეტევის ყველა დარგებში ხარისხისათვის ბრძოლის ამოცანა.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა საჭიროა არა მარტო მრეწველობაში, არამედ აგრეთვე ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, არა მარტო სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში, **არამედ აგრეთვე სამეცნიერო ფრონტზე, სოციალისტური დაგეგმვის ფრონტზე, ხელმძღვანელობის კონკრეტულად, ბოლშევიკურად გარდაქმნის საქმეში, ახალი წესით ხელმძღვანელობის საქმეში.**

ჩვენ უფლება გვაქვს ყოველ **პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა და პროფესიონალურ** ორგანიზაციისაგან მოვითხოვოთ მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნა ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშაობის ორგანიზაციის, ძალების დანაწილების, კადრების შერჩევის, კონკრეტული ხელმძღვანელობის და, ბოლოს, შესრულების შემოწმების საკითხებს.

მეოთხე წელს პირველ პროდუქციას მოგვცემენ ხუთწლედის ათეული გიგანტები.

მაგნიტოსტროი მისი მთლიანად ამუშავების შემდეგ სახელმწიფოს წელიწადში მისცემს 4 მილიონ ტონა თუჯს. ამდენი თუჯი 1929 წელს დაამზადა ბელგიამ — მძლავრი ინდუსტრიის ქვეყანამ.

ამუშავდება **დნეპროსტროი, სვირსტროი,** ისინი მისცემენ ჩვენს ქვეყანას ასეულ-ათას კილოვატ ელექტრო-ენერგიას.

პირველ ხუთწლედში ამუშავდენ და ამუშავდებიან: ნიჟნი-ნოვგოროდის ავტო-ქარხანა, სარატოვის კომბაინების ქარხანა, მოსკოვის „შარიკოპოდშიპნიკი", ბერეზნიაკი, ბობრიკი, ვოსკრესენსკი—მძლავრი ქიმიური კომბინატები.

ჩვენ ვეწევით და წინ უსწრებთ ტექნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ნავთის ამოღების მხრივ საბჭოთა კავშირს მიმდინარე წელს მეორე ადგილი უჭირავს.

ქვანახშირის ამოღების მხრივ ორი წლის განმავლობაში მეექვსე ადგილიდან ჩვენ მეოთხე ადგილზე გადმოვედით.

თუჯის და ფოლადის დარგში საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ინგლისს და მეოთხე ადგილი დაიკავა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირს უჭირავს მეორე ადგილი მსოფლიოში, პირველი ადგილი ჯერ-ჯერობით ამერიკას ეკუთვნის.

1932 წელს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობა მიიღებს 900 მილიონი მანეთის საბჭოთა მანქანებს.

ხუთწლედის მეოთხე წელს საბჭოთა სატრაქტორო ქარხნები სოფლის მეურნეობას მისცემენ ათეულ ათას ახალ ტრაქტორებს ერთი მილიონი ცხენის ძალის სიმძლავრით.

კოლმეურნეობათა მინდვრებზე იმუშავებს 3.100 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 1.360.000 ცხენის ძალის სიმძლავრით.

სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება უზრუნველყოფს მთავრობის მიერ დასახულ ამოცანის შესრულებას.

მეოთხე გადამწყვეტი წლის გეგმის შესრულება ჩვენს ქვეყანას მისცემს ათეულ მილიონ ტონა ქვანახშირს, მრავალ მილიონ ტონა თუჯს და ფოლადს, 1.300 ორთქლმავალს, 82.000 ტრაქტორს, 73.000 ავტომობილს.

1932 წელს კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში შეადგენს 21 მილიარდ მანეთს, 1931 წელს კი შეადგენდა 16,1 მილიარდს. შრომის ნაყოფიერების ზრდა 22 პროცენტით აღემატება 1931 წლის საშუალო წლიურ ნაყოფიერებას. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ნავარაუდევია 7 პროც. გასული წლის საშუალო ფაქტიურ ღირებულებასთან შედარებით.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები ახასიათებენ მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

აგრეთვე ამიერ-კავკასიამ, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელმა ნაწილმა, უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, როგორც ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე, ისე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის სფეროში.

ცნობები ამიერ-კავკასიაში ხუთწლედის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ნათლად მოწმობენ, რომ მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა 1932 წელს არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება. მრეწველობის ყველა დარგებს არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ, აგრეთვე მთელს საბჭოთა კავშირში წინ უსწრებს ბაქოს ნავთი. მე უკვე აღვნიშნე, რომ ბაქოს ნავთის მუშათა გმირული ბრძოლის შედეგად ნავთის პირველი ხუთწლედი ორნახევარ წელიწადში შესრულდა. 1931 წელს ჩვენ უკვე ამოვიღეთ 13,5 მილიონი ტონა ნავთი ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. დაგეგმილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1931 წელს 1930 წელთან შედარებით 21,6 პროც., გაიზარდა. 1913 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 1931 წელს სამჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო 1927-28 წელთან შედარებით გაიზარდა 80 პროც., ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, სოფლის მეურნეობის გამოკლებით, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 1930 წლის ოქტომბერში უდრიდა 493.794 კაცს, ხოლო 1931 წლის დამლევს 632.600 კაცს (გაიზარდა 28 პროც.).

ცენზიან მრეწველობაში მუშა - მოსამსახურეთა რიცხვი იმავე პერიოდში 100.387-დან 145.200-მდე გაიზარდა (45 პროც.)

გასულ წელს მუშათა კლასის საერთო თვალსაჩინო ზრდასთან (28 პროც.) ერთად, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის გადიდება (45 პროც.).

ეს მიღწევები ინდუსტრიალიზაციის დარგში კიდევ ერთხელ ააშკარავებენ, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტების მტკიცება ამიერ-კავკასიაში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ. აშკარაა, რომ სოციალისტური მრეწველობა ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის სისტემაში გადაიქცა ხელმძღვანელ რგოლად.

დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სფეროში. უკვე 1931 წელს კოლექტივიზაციის პროცენტმა ამიერ-კავკასიაში საშუალოდ მიაღწია 40 პროც.-ს, ხუთწლედის უკანასკნელ დამამთავრებელ წელიწადში სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი თვალსაჩინოდ გადააჭარბებს ხუთწლედის პირვანდელ ვარაუდებს. იგივე უნდა ითქვას სოფლის მეურნეობაში ტექნიკური კულტურების და კერძოთ ბამბის დანერგვის შესახებ. ბამბას 1931 წელს უკვე 254.000 ჰექტარი ეჭირა. ტექნიკური კულტურების ფართოდ დანერგვა შეადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განუყოფელ ნაწილს, წინააღმდეგ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის — ამხ. მამულიას აზრისა, რომელმაც თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე წამოაყენა შემდეგი დებულება: „ორი რეკონსტრუქციის" შესახებ. მან ვერ გაიგო ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ტექნიკური კულტურების დანერგვა არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაგან გამოყოფილ პროცესს.

რის უზრუნველყოფით. უმაღლესი საინჟინერო-ტექნიკური შემადგენლობა უნდა იდგეს თანამედროვე მსოფლიო ტექნიკის სიმაღლეზე, ჩვენი მეურნეობის სპეციფიური პირობების სავსებით ცოდნით. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში თეორიულ სწავლებას თან უნდა ახლდეს საწარმოების პრაქტიკული გამოცდილება, ადმინისტრატიულ თანამდებობებზე დაწინაურება, როგორც წესი, უნდა გულისხმობდეს წინასწარ პრაქტიკულ სტაჟს.

კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფართო სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოებრივობის განვითარების საჭიროებას, საწარმოების მუშათა აქტივიდან (დამკვრელები, გამომგონებლები, რაციონალიზატორები) სამეცნიერო ტექნიკურ საზოგადოებებამდე. მხოლოდ აღნიშნული საზოგადოებრივობის გაშლით, სოციალისტური შეჯიბრების ზრდასა, გამოცდილების ფართო გაცვლა გამოცვლასთან და სხვ დაკავშირებით, შესაძლებელია დაჩქარდეს სოციალისტური მრეწველობის ტექნიკური კადრების კლასობრივი ზრდის პროცესი. ტექნიკურად კულტურული მუშათა კლასის ფართო მასების მომზადება, ისეთი ინჟინრებისა და სპეციალისტების მომზადება, რომლებთაც ექნებათ ნამდვილი უნარი საპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა გაუწიონ იმ საქმეს, რომელიც სწარმოებს უახლესი ტექნიკის საფუძველზე,—ასეთია ჩვენი ამოცანა.

1932 წლის გეგმის შესრულება მოითხოვს პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალების მობილიზაციას სოციალისტური მშენებლობის და დამკვრელობის შემდეგ გაშლისათვის.

1932 წელს თვითეული საწარმოს ლოზუნგი უნდა იყოს: არსებული მატერიალური სახსრებით, ძალთა უფრო უკეთესად მობილიზაციისა და უკეთესი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საფუძველზე, უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია მივსცეთ ჩვენს ქვეყანას.

მე-17 პარტიული კონფერენცია გამოხატავს მტკიცე რწმენას, რომ მუშათა კლასი, სამეურნეო მუშაკები და საინჟინერო-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც მიჰყვებიან ლენინის პარტიას, მისი ც.კ-ის ხელმძღვანელობით შეასრულებენ 1932 წლის უდიდეს სამუშაოების გეგმას და ამით დაამთავრებენ პირველ ხუთწლედს ოთხ წელიწადში.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია იზრდება და მტკიცდება

ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო პოლიტიკური განმტკიცება ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლას. ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო - პოლიტიკური ძლიერების განმტკიცება და ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის გაშლა წარმოადგენს დიალექტიურ მოვლენობას. ბევრს ეს არ ესმის, ან არ სურს მისი გაგება.

დიდმპყრობელური შოვინიზმის მატარებელნი საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის უკანასკნელ გადაწყვეტილებას ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის და თვითმოქმედების გაშლის შესახებ აფასებენ როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების საჭიროების უარისყოფას. ისინი ცდილობენ საქმე ისე მოგვაჩვენონ, რომ თითქოს ვიღაც უარს ამბობს ან ჩქმალავს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების წინაშე მდგომ ამ უდიდესი ამოცანის მნიშვნელობას.

ხოლო ადგილობრივი ნაციონალიზმის წარმომადგენლები ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების ამოცანა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 31 ოქტომბრის დადგენილებით მოხსნილია დღის წესრიგიდან.

ამ გადახრასთან ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც უმთავრესი საფრთხის, ადგილობრივი ნაციონალიზმის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ — ჩვენი პარტორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამხ. ქართველიშვილმა, რომელიც იდგა ამიერ-კავკასიის პარტიული ხელმძღვანელობის სათავეში, დაუშვა პოლიტიკური შეცდომა ამიერ-კავკასიის პირობებში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში, რაც გამოიხატა ა.-კ. ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელების მეტის-მეტ ცენტრალიზაციაში. ასეთი მიდგომის აუცილებელი შედეგი იყო, ამიერ-კავკასიის ფედერაციის უდიდესი მნიშვნელობის ნაწილობრივი დისკრედიტაცია და რესპუბლიკანური ორგანოების ყველასათვის ცნობილი გაუპიროვნება. ამ გაუპიროვნებას საქართველოში ხელს უწყობდა საქართველოს კ.პ. (ბ)) ც. კ-ის ყოფილი ხელმძღვანელობა ამხ. მამულიას, დევდარიანის და სხვ. სახით, რის გამო რესპუბლიკანური ორგანოების უმეტესობა მოკლებული იყო ოპერატიულ ფუნქციებს როგორც სამეურნეო, ისე კულტურული მშენებლობის დარგში.

ამხ. ქართველიშვილმა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ 1929 წელს მოცემულ დირექტივიდან, რომელიც ეხებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებას, გაიგო მხოლოდ მისი პირველი ნაწილი და სრულიად დაივიწყა და ვერ გაიგო მისი მეორე ნაწილი, სადაც სწერია, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება უნდა მიმდინარეობდეს „ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლასთან ერთად".

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე დადგა დაშვებული შეცდომების, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების საფუძველზე, დაუყოვნებლივ გამოსწორების ამოცანა. ამ მიმართულებით უკვე ჩატარებულია ერთგვარი ღონისძიებები, რაც გამოიხატა იმაში, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებს გადაეცა რესპუბლიკანური მნიშვნელობის მთელი რიგი სამრეწველო, და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები და კულტურული დაწესებულებები. ამ ღონისძიებებმა, რომლებიც გამომდინარეობენ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებიდან, ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით უნდა უზრუნველჰყოს ნაციონალურ რესპუბლიკების თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლა ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებასთან ერთად.

ა. ბაჟბეუკ-მელიქოვი

ამხ. ლ. ბერია

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა

მრეწველობა:

საქართველოს მრეწველობის ზრდის ძირითადი მაჩვენებლები

პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარებით საქართველოს მუშათა კლასმა, კომპარტიის ხელმძღვანელობით, საგრძნობ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

აგრარულ-სამრეწველო ქვეყნისაგან საქართველო ხდება აღებულ ბოლშევიკური ტემპების შესაფერისად, სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად.

შემდეგი დაზუსტებული და შემოწმებული ციფრობრივი ცნობები თვალსაჩინოდ ადასტურებენ ამ მდგომარეობას. ცენზიანი მრეწველობის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობისა და ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციის მიმართ შეადგენდა 1924-25 წელს — 13 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობისა—86,8 პროცენტს, 1928-29 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა—28,7 პროც., სოფლის მეურნეობის—71,3 პროც., 1931 წელს მრეწველობის — 38,3 პროც., სოფლის მეურნეობის—61,7 პროც., თუ ავიღებთ მთელს მრეწველობას წვრილთან ერთად და აგრეთვე ელექტრო-სადგურებსა და სხვებს, მაშინ მრეწველობის ხვედრითი წონა გაცილებით მეტი იქნება. ამ ანგარიშით 1929-30 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა უდრიდა 39 პროც.-ს სოფლის მეურნეობის—61 პროც.-ს, 1931 წელს მრეწველობის—46 პროცენტს, სოფლის მეურნეობის—54 პროც.-ს

ჩვენ აღვნიშნავთ წლითი-წლობით ჩვენი ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციის განუწყვეტელ ზრდას.

თუ 1923-24 წელს საერთო პროდუქცია (1926-27 წლის უცვლელ ფასებში) შეადგენდა 27,022 ათას მანეთს, ხოლო 1927-28 წ. ე. ი. ხუთწლედის წინა წელს —74.306 ათას მანეთს, 1931 წელს უკვე ეს ციფრი აღწევს 192 მილიონ მანეთს.

8 წლის განმავლობაში ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია 8 ჯერ და მეტადაც გაიზარდა.

განუწყვეტელი ზრდის ამგვარსავე სურათს იძლევა კაპიტალური დაბანდების მდგომარეობა.

1923-24 წელს ჩვენ დავაბანდეთ მრეწველობაში სულ 239 ათასი მანეთი, 1927-28 წ. უკვე 15.513 ათასი მანეთი. მაშინ, როდესაც 7 წლის განმავლობაში (1923-30 წ.) დაბანდებულ იქნა ცენზიან მრეწველობაში 111.325 ათასი მანეთი, მარტო 1931 წლის დაბანდება უდრის 67 მილიონ მანეთს, ხოლო 1932 წლის—90 მილ. მანეთს.

თქვენ იცით, რომ მეფის რუსეთი საქართველოს ამყოფებდა ნახევრად კოლონიალურ მდგომარეობაში, იგი ყოველმხრივ ხელს უშლიდა აქ ინდუსტრიის მძლავრი კერების შექმნასა და ინდუსტრიალური მუშების გაჩენას.

ჩვენი პარტიის პოლიტიკამ ეგრეთწოდებული განაპირა ქვეყნების მიმართ უკვე საგრძნობი შედეგები მოგვცა.

თუ 1927-28 წელს საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა მრეწველობის საერთო პროდუქციის სულ რაღაც 27 მანეთი, 1930 წელს ეს ციფრი უკვე 55,9 მანეთს უდრის, ე. ი. 2 წლის განმავლობაში ორჯერ და მეტადაც გადიდდა.

საშუალო ციფრი მთელს საბჭოთა კავშირში სათანადოთ შეადგენდა—78,5 მანეთს და 114,4 მანეთს. ამგვარად, თუმცა საქართველოში პროდუქციის დონე, რაც ერთ სულზე მოდის, ნაკლებია საშუალო დონესთან შედარებით მთელს საბჭოთა კავშირში, მაგრამ მისი ზრდის ტემპი ჩვენში განუზომლად უფრო მაღალია. ჩვენ სწრაფად მივიწევთ წინ.

დამახასიათებელია ის ცნობები, რომლებიც ეხება საქართველოს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ზრდის შეფასებას. თუ მთელ მრეწველობას 100 პროც. მივიჩნევთ, მაშინ ჩვენ გვექნება: მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა 1923-24 წელს—26,2 პროც. ხოლო 1929-30 წელს უკვე 52,2 პროც.

უნდა ითქვას, რომ 1931 წელს ეს შეფარდება რამდენადმე გაუარესდა, დაეცა.

1931 წელს სმუს-ის მთელმა მრეწველობამ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს (რესპუბლიკანური, ფედერატიული და საკავშირო), მოგვცა საერთო პროდუქციის ზრდა 1930 წელთან შედარებით—44 პროცენტით. მაგრამ ეს ზრდა, უმთავრესად, ხდებოდა მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე (100 პროც.). მძიმე მრეწველობამ (მარგანეცის გამოკლებით) მოგვცა მხოლოდ 25 პროცენტით ზრდა.

ეს აიხსნება „ა" ჯგუფის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოო გეგმების საგრძნობი შეუსრულებლობით (ქვანახშირი—46,8 პროც., ანდეზიტი—31,7 პროც., ბარიტი—57,8 პროც., ლითონი—66,6 პროც., ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა—46,5 პროც.).

გეგმების ჩაშლის ძირითად მიზეზად, ამ დარგებში უნდა ჩაითვალოს ის არასაკმაო ყურადღება, რასაც იჩენდნენ მათდამი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები წარსულ წელს, და წარმოების მოწყობისა და მოგვარების უნარის უქონლობა. საგრძნობია მუშახელის მწვავე ნაკლებობა, ადგილი ჰქონდა დეფექტებს მომარაგებაში, არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები. ამხ. სტალინის ექვსი მითითება — ეს წარმატებათა საფუძველი და საწინდარი — საკმაოდ არ ყოფილა გამოყენებული საქართველოს სამრეწველო საწარმოებში. როგორც ამის შედეგი, ჩვენში ადგილი ჰქონდა საწარმოთა მექანიზაციის საკითხების სრულ უგულებელყოფას, როგორც მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში, ანდეზიტის სამუშაოებზე და სხვ.. ყველა ამ მომენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს „ა" ჯგუფის საწარმოთა საწარმოო ეფექტის შემცირების საქმეში წარსულ წელს.

ხუთწლედი ოთხწელიწადში

ამავე დროს, ამ გარღვევების მიუხედავად, ხუთწლედი საქართველოს მრეწველობაში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სრულდება ოთხ წელიწადში, ხოლო მთელ რიგ დარგებში—კიდევ უფრო ნაკლებ ვადაში.

ხუთწლედის შესრულება კაპიტალის დაბანდების მიხედვით შემდეგნაირად მიმდინარეობს:

ნავარაუდევი იყო მრეწველობაში დაბანდება ხუთი წლის განმავლობაში 173 მილიონი მან.

უკვე დაბანდებულია სამი წლის განმავლობაში—156 მილ. მან.

განზრახულია უკანასკნელ 1932 წლისათვის—90 მილ. მან.

სულ 246 მილიონი მანეთი.

ესე იგი გადაჭარბება დაახლოვებით 40 პროცენტს უდრის.

საერთო პროდუქციის მხრით ჩვენ ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებთ ხუთწლიან ვარაუდებს. განზრახული იყო 3 წლის განმავლობაში ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 377 ნახ. მილიონი მანეთის პროდუქციის მიღება, ფაქტიურად კი მიღებულია 426 ნახ. მილიონი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულა ლითონის მრეწველობამ (მინერალებისა და მადნეულის, სამკერვალო და ფეხსაცმელის)

მე მოკლედ შევჩერდები იმ საკითხზე, თუ რომელ სამრეწველო საწარმოებს ვამთავრებთ ჩვენ 1932 წელს და რომელთა მშენებლობასაც განვაგრძობთ.

მიმდინარე წელს საქართველოს მრეწველობაში დაბანდებული იქნება 90 მილიონ-მანეთზე მეტი. ამ ციფრში არ შედის ელექტრო სადგურების და ოჩემჩირეს ქვანახშირის ნავთსადგურის მშენებლობა.

ჩვენ ვამთავრებთ:

1) რიონჰესს,
2) ზაჰესს—მეორე რიგის,
3) ფერო-მარგანეცის ქარხანას,
4) ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებს,
5) ახალ მექანიკურ ქარხანას თბილისში,
6) ბზიბის ხე-ტყის და ქაღალდის კომბინატს,
7) ბაკურიანის ანდეზიტს,
8) ახალი საკედლე მასალის ქარხანას თბილისში;
9) კახეთის სახურავი ფიქალის'
10) აგურის რამდენიმე ქარხანას;
11) სურამის კირის ქარხანას;
12) ბარიტის გამამდიდრებელ ფაბრიკას (ქუთაისში);
13) გუმბრინის საფქვავ ქარხანას (ქუთაისში);
14) შაქრის ქარხანას;
15) მარგარინის ქარხანას (თბილისში);
16) ქუთაისის საკონსერვო ფაბრიკას.

განზრახულია ახალი მშენებლობის დაწყება და ძველის გაგრძელება

1) ხრამჰესი;
2) სამგორის ჰიდროსადგური;
3) აწჰესი;
4) ტყვარჩელის თბოსადგური'
5) ფერო-მარგანეცი—მეორე რიგის;
6) ენგურის ქაღალდის ფაბრიკა;
7) ლიტოპონის ქარხანა;
8) ტალკის წარმოება (მოსამზადებ.);
9) ასკანიტის წარმოება (მოსამზადებ.)'
10) ფეხსაცმელის ფაბრიკა (თბილისი);
11) სამკერვალო ფაბრიკა (თბილისი);
12) სუროგატის ლანჩის ფაბრიკა (თბილისი);
13) აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა ქუთაისში;
14) კირის ქარხანა (ძეგვში)
15) ახალი საკედლე მასალის ორი საწარმო (აჭარისტანსა და თბილისში);
16) კრამიტის ქარხანა (ნოსირი);
17) მაცივარი (თბილისი);
18) საპნის ქარხანა (თბილისი);
19) თამბაქოს ფაბრიკა (სოხუმი).

მუშათა კლასის მდგომარეობა და პროფკავშირები

სამრეწველო მშენებლობაში ჩვენ მიერ მიღწეულ წარმატებებს თან სდევს მუშათა რიცხვის განუწყვეტელი ზრდა და მათი მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლება.

მეურნეობის ყველა დარგებში ჩაბმულ მუშათა რიცხვი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში იძლევა თვალსაჩინო ზრდას. 1930 წელს (1 ოქტომბრისათვის) ჩვენ გვყავდა 218.487 კაცი, ხოლო 1931 წელს (1 ივლისისათვის) გვყავს 288.840 კაცი. ცალკე მრეწველობის მიხედვით ამავე პერიოდის განმავლობაში მუშების რიცხვი 45.369-დან 61.684-დე გაიზარდა.

მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის საერთო ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ქალთა შრომის საგრძნობ დანერგვას. მაგალითად, თუ 1925-26 წელს სულ მუშაობდა 17.360 ქალი, ხოლო 1931 წელს—62.558.

უმუშევრობა, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სრულიად აღმოფხვრილია. ხელფასი გადიდდა. ხელფასის წლიური ფონდი 170 მილიონ მანეთიდან 1930 წელს გაიზარდა 273 მილიონ მანეთამდე—1931 წელს. მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა საშუალო ხელფასი 1931 წელს, 1930 წელთან შედარებით, გადიდდა 18,6 პროცენტით. ხელფასის საერთო ზრდის გარდა, ცალკე საწარმოებში—მაგალითად, ტყიბულის მაღაროებში, საგრძნობლად გადიდებულია მუშათა ხელფასი; ნოემბრიდან ხელფასი გადიდდა 30 პროცენტით.

დაწყებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, ხელფასის გარდაქმნა ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე. შემოღებულია შრომის ანაზღაურების წახალისებითი ფორმები, ხდება გათანაბრების ლიკვიდაცია და სხვ. სანარდო სისტემა სულ უფრო მეტად ხდება შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმად. 1931 წლის აგვისტოსათვის სანარდო სისტემა გავრცელებული იყო მთელი მუშების დაახლოვებით 63 პროცენტზე.

საქართველოს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება არ განისაზღვრება მარტო ხელფასის ზრდით. საგრძნობი თანხები დაიხარჯა საბინაო მშენებლობაზე (1930 წელს—11 მილიონი მანეთი, 1931 წელს—20 მილიონი მანეთი), ჯანმრთელობაზე (1930 წელს—10 მილიონი მანეთი, 1931 წელს—23 მილიონი მანეთი). სოცდაზღვევაზე 1927-28 წელს დაიხარჯა 2.634 ათასი მანეთი, 1931 წელს—20.889 ათასი მანეთი, ხოლო 1932 წელს განზრახულია—45 მილიონი მანეთის დახარჯვა. თუ 1927-28 წელს ერთ დაზღვეულზე საშუალოდ იხარჯებოდა 76 მანეთი, 1931 წელ დაიხარჯა 88 მანეთი.

პროფკავშირების ამოცანები

პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მე-5 პლენუმის გადაწყვეტილებებში ნათქვამია:

„იმ უდიდესი ამოცანების შესრულება, რაც სდგას პროფკავშირების წინაშე სოციალისტური მშენებლობის გაშლის დარგში, მოითხოვს პროფკავშირების საწარმოო საქმიანობის ყოველმხრივ გაძლიერებას და მათ ყოველდღიურ ზრუნვას მუშების მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. უმუშევრობის ლიკვიდაცია და მუშების ახალი ფენების წარმოებაში საგრძნობი რაოდენობით ჩაბმა აყენებს ახალი კადრების ჩაბმის და მათი კლასობრივად აღზრდის ამოცანას პროფკავშირებში, როგორც „კომუნიზმის სკოლაში".

პროფკავშირებმა უნდა დარაზმონ მუშათა მასების აქტივობა წარმოების კონკრეტული ამოცანების გარშემო, სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების გარშემო.

ის გარღვევები, რასაც ადგილი აქვს საწარმოებში, არა თუ მოწმობენ სუსტ სამეურნეო მუშაობას, არამედ მასიური მუშაობის არასაკმაოდ გაშლას პროფკავშირების მიერ.

ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა (შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის ხარისხი) ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენ ხუთწლედის მეოთხე წელიწადში გადავედით საგრძნობი განსხვავებით შრომის ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის. იმ დროს, როცა მძიმე მრეწველობაში შრომის ხელფასი 14 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება გადიდდა მხოლოდ 11,2 პროცენტით. ამის გამო არ არის შესრულებული გეგმა თვითღირებულების შემცირების შესახებ. 8,8 პროცენტის ნაცვლად 11 თვის განმავლობაში ჩვენ გვაქვს თვითღირებულების შემცირება 5,4 პროცენტით, ხოლო მძიმე მრეწველობაში—4,5 პროცენტით. ამასთან ერთად მთელ რიგ საწარმოებში ვერ არის პროდუქციის ხარისხის კარგი მდგომარეობა.

პროფკავშირებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლის გარშემო და ცეხთა შეხვედრითი გეგმების საშუალებით ყოველდღიურად იბრძოლონ ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ჩვენი საწარმოების მუშათა საგრძნობი რაოდენობა. პროფკავშირები „სტატისტიკური გამოანგარიშების" წესით იძლევიან ჩაბმის 90 პროცენტს, მაგრამ ეს მთლად არ შეეფერება სინამდვილეს. მაგალითად, ტყიბულში 1018 შეჯიბრებულთა საერთო რიცხვიდან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოდ 135, ლითონის ტრესტში 2.362 მუშიდან სხვადასხვა ფორმის სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 1919 მუშა. ჭიათურის მარგანეცის საბადოებში 2.701 მუშიდან ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 1241 კაცი.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

საქ. კომპარტიის მერვე ყრილობამ ერთხმად აირჩია ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

წევრები

ამხ. ალიაშვილი, არუთინოვი, აზარაშვილი, ს. აკოფოვი, დ. აფციაური, ვ. ანთიძე, ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე, ნ. ბახტაძე, ს. ბუაჩიძე, ი. ბოლქვაძე, კ. გორდელაძე, ვ. გოგია, გასან-საბიზი, ა. გეურქოვი, ქ. გობეჯიშვილი, მ. გობეჩია, ს. გარიშვილი, ე. დეკანოზოვი, ს. ჯუღელი, დავიდოვა, ი. ჯანეზაშვილი, ი. ჟვანია, ელენტი, (საქ. ნავთი), თ. ელენტი, გ. ყურულაშვილი, თ. კორისაველი, ვ. ქურდაძე, დ. კილაძე, ა. კეკელია, გ. კალმახელიძე, ა. კვირიკაძე, ს. კუხალეიშვილი, ტ. ლორთქიფანიძე, ნ. ლაკობა, ვ. ლადარია, პ. მელაძე, ფ. მახარაძე, გ. მგალობლიშვილი, ბ. მაჩაიძე, შ. მათიკაშვილი, ლ. მორჩილაძე, პ. მარგიშვილი, მუსაბეკოვი, მ. ნიორაძე, მ. ორახელაშვილი, მარიამ ორახელაშვილი, კ. ორაგველიძე, პ. ორჯონიკიძე, ვ. პოლონსკი, დ. ფანცულაია, ა. ფანცხავა, ა. რაფავა, გ. სტურუა, სელიხოვი, ლ. სუხიშვილი, ი. სმოლინი, ი. სმოლენსკი, ი. ზუმბათოვი, პ. საბაშვილი, ნ. სვანიძე, მ. ტოროშელიძე, გ. თვალჭრელიძე, ს. ტრდატიანი, ი. თავშავაძე, ა. ხანჯიანი, ა. წითლიძე, პ. წულუკიძე, მ. ცხაკაია, გ. შაბასოვი, რ. შაუმოვი და ელიაშვილი.

კანდიდატები

ამხ. კ. მოდებაძე, გ. გიორგობიანი, ი. გაბაშვილი, ა. რამიშვილი, ნ. ამირაგოვი, თ. სახარაძე, შ. თალაკვაძე, ვ. ფაჩულია, გ. ჭურციკიშვილი, ს. იშხანოვი, ქ. ზვიადაძე, გ. აბრამიშვილი, ბ. არუთინოვი, ი. ბეჟაია, ა. ფირალოვი, გ. სილაძე, პ. შარია, ლუშნიკოვი, ვ. როინიშვილი, ი. კოჭლამაზაშვილი, ე. კვანტირაძე, დ. ურთმელიძე და ცქიტინიძე.

სარევიზიო კომისია

ნ. ლეჟავა, ჩალმაზი, ეაშაყმაძე, დანდლევსკი, ე. ბედია, შ. ლორთქიფანიძე, ს. ფოფხაძე და ხორბელი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პირველი პლენუმი

24 იანვარს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

წევრებად

ლ. ბერია, პ. მელაძე, გ. ყურულაშვილი, მამია ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, გ. მგალობლიშვილი, გ. არუთინოვი, ნ. ლაკობა, ტ. ლორთქიფანიძე, გ. სტურუა და ბ. მაჩაიძე.

კანდიდატებად

ამხ. ვ. დეკანოზიშვილი, კ. გორდელაძე, მ. ტოროშელიძე და შ. მათიკაშვილი.

სამდივნო

პლენუმმა აირჩია სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ლავრენტი ბერია—პირველი მდივანი, პავლე მელაძე—მეორე მდივანი და გიორგი ყურულაშვილი — მესამე მდივანი.

მდივნათ მომარაგების დარგში არჩეულ იქნა ამხ. დეკანოზიშვილი.

სამდივნოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ ამხ. გ. არუთინოვი და გ. მგალობლიშვილი.

დელეგატები საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენციაზე

პლენუმმა აირჩია დელეგატებად საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენციაზე ამხ. ლ. ბერია, პ. მელაძე, ვ. მზარეულაშვილი, გ. არუთინოვი, ვ. ლადარია, თვალჭრელიძე, ი. ჟვანია და გ. კალმახელიძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია

ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ერთხმად იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები:

ანდრიაძე (სამტრედია), აბულაძე (ზესტაფონი), ა. ადამია (ფოთი), ვ. ბადალოვი, გ. ბეგალაძე, ნ. ბლუაშვილი, ი. ბეშიძე, ნ. ბარამიძე, ნ. ბრეგვაძე (აფხაზეთი), ვ. ბახტაძე, ბუკოვა, ბირენკო, ბურეში, ი. ვარძიელი, გ. ვაშაკიძე, ა. გიორგაძე, ი. გელაშვილი, ნ. გვანცელაძე, ვ. ჯაფარიძე, ა. დოლიძე, გ. დონაძე, კ. ჯატიევი, ფ. დოლიძე, გ. ჯინჯოლია, ვ. დუმბაძე, ა. დოგადოვი, ჯიქია (ზუგდიდი), ი. დვალი (თელავი), ვ. დარსაძე, მ. ჯაფარლი, ლ. ენუქიძე, ნ. ენუქიძე, ელენინი, ელისაშვილი, ა. ეორჟოლაძე, ს. ზაკომოლდინი, ბ. ზანთარია, ვ. იტრიევი, ა. კალაძე, მ. ქერქაძე, მ. კვარაცხელია, ნ. კიკნაძე, პ. კირვალიძე, გ. კუჭაიძე, კ. ქაცარავა, ბ. ქიქოძე, მ. კილაძე, ლ. კალანდაძე, გ. კარანაძე, ე. კვანტალიანი, კარტოზია (ახალსენაკი), ქუსულავა (სტალინისი), ტ. ლაგვილავა, ვ. ლუსკინა, შ. ლეჟავა, ს. ლომიძე, გ. ლელაშვილი, ვ. მეტონიძე, ს. მეგრელიშვილი, ს. მასხულია, მონასტირსკი, გ. მალანია, ი. მონიავა, ბ. მელიქაძე, ა. მირზაბეკიანი, ვ. მზარეულაშვილი, მართაშვილი, ა. მხეიძე (აჭარისტანი), ს. ნამჩევაძე, ნაქთამოვი, ამერ-ოღლი (აჭარისტანი), ა. ფირცხალავა, ნ. ფირიაშვილი, ვ. ფანცხავა, ა. ფანცულაია, ს. პაქსაშვილი (სტალინისი), ფურცხვანიძე (მანგლისი), ბ. ფანცულაია (კასპი), პაქსაშვილი (გორი), ა. პოპოვი, ი. ფოფხაძე (ტყიბული); გ. რამიშვილი, გ. როველაძე, ვ. რუსიძე (ოზურგეთი), რამაზაშვილი, ი. სირაძე, ი. სტანსკი, გ. სააკიანი, ი. სიხაშვილი, ა. სიამაშვილი, ა. სააკიან (ახალციხე), ა. საჯაია, კირილე სულავა, სიხარულიძე, ს. სარქისოვი, სამსონიძე („რიონჰესი“), თაქთაქიშვილი, ა. ტიგიშვილი, ს. თოდრია, ა. ტერ-ვართანოვი, დ. ხუბულური, ხუბოვი, ხორბალაძე, ხულათინა, გ. ჩხეიძე, ი. ჩხეიძე, პ. ჩიქვაშია, ქ. ჩხარტიშვილი, ა. შახსუვაროვი, ს. შავერდოვა, შაინოვი (ბაშკიჩეთი), ვ. ელერდოვი, ა. იუსუპოვი და იაშვილი (ჭიათურა).

საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის პირველი პლენუმი

გუშინ შესდგა საქ. ც. საკონტროლო კომისიის პირველი პლენუმი.

პლენუმმა ერთხმად აირჩია ს. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. თავმჯდომარედ ამხ. ვასო მზარეულაშვილი.

წევრებად

საქ. ც. საკ. კომისიის პრეზიდიუმში ერთხმათ იქნენ არჩეული ამხ. ვ. მზარეულაშვილი, ს. თოდრია, მ. კვარაცხელია, ს. მეგრელიშვილი, პ. კირვალიძე, ი. გელაშვილი, ნ. კიკნაძე, ი. სტანსკი, ნ. გვანცელაძე, ა. პოპოვი, გ. ლელაშვილი, ა. ტიგიშვილი და მირზაბეკიანი.

კანდიდატებად

ამხ. გ. სააკიანი, ი. სირაძე, ს. სარქისოვი და ბუკავა.

პარტკოლეგია

პლენუმმა პარტკოლეგიის წევრებათ ერთხმათ აირჩია ამხ. მ. კვარაცხელია, ს. მეგრელიშვილი, პ. კირვალიძე, მ. თაქთაქიშვილი, ლ. ენუქიძე, გ. ჩხეიძე, გვანცელაძე, იტრიევი და იუსუპოვი.

პარტკოლეგიის პასუხისმგებელ მდივნათ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. მოსე კვარაცხელია.

მთელ რიგ შემთხვევებში ცალკე პროფკავშირული ორგანიზაციები კონკრეტულ ხელმძღვანელობას არ უწევენ სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას, არა ყოველთვის და არა ყოველგან აძლევენ ისინი მუშათა მასების ინიციატივასა და ენთუზიაზმს ისეთ ფორმებს, რომელთაც მივყევართ სამრეწველო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

იქ, სადაც ფართოდ არის დაყენებული ამხ. სტალინის ექვსი მითითების რეალიზაცია, სადაც სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმას წარმოადგენენ, იქ დიდ და თვალსაჩინო წარმატებებს აქვს ადგილი.

ჩვენ გვყავს დაახლოებით 700 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, აქედან თბილისში — 262. მათი მუშაობის პრაქტიკა გვიმტკიცებს, შრომის ორგანიზაციის ამ ფორმის შემდგომი გაფართოების საჭიროებას.

ტრამვაიში მიმდინარე რემონტის ბრიგადამ მუშა ჩუხრუკიძის მეთაურობით დეკემბერში მოგვცა ნორმის ზედმეტად 4 ვაგონი. გენერალური რემონტის ბრიგადამ ნორმის ზევით მოგვცა სამი ვაგონი და იკისრა ვალდებულება პარტიის ყრილობისათვის 21 ვაგონის ნაცვლად გამოუშვას 29 ვაგონი.

რიონჰესის მშენებლობაში ზრიგორიანის ბრიგადამ, რომელიც სოციალისტურ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, ერთ თვეში მოგვცა 134 სამუშაო დღის მომჭირნეობა და შრომის ნაყოფიერების გეგმა 51 პროცენტის გადაჭარბებით შესრულა.

თბილისის მექანიკური ქარხნის მშენებლობის საუკეთესო სამეურნეო ანგარიშის ხუროების ბრიგადამ ცარქოვის მეთაურობით გეგმა შეასრულა 93 პროცენტის გადაჭარბებით და მოგვცა მასალის მომჭირნეობა 4 ათასი მანეთის რაოდენობით. იქვე ჯალალოვის ბრიგადამ 88 პროც. გადაჭარბებით შეასრულა დავალება.

ჭიათურაში ასანიძის, ძნელაძისა და სხვების დამკვრელი ბრიგადები 88—87 პროც. გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას. ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლებოდა მოგვეყვანა.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი და პარტუჯრედებთან და ადმინისტრაციასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულად მიმართონ მუშათა გაზრდილი ენერგია და შემოქმედებითი ინიციატივა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

მუშათა მომარაგება

მუშათა მომარაგების საქმემ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს პროფესიონალური პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში.

„უნდა გავიგოთ, რომ მუშების არსებობის პირობები ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენში. მუშა ეხლა ის აღარ არის, რაც წინად იყო. ეხლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას სურს იცხოვროს ისე, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება, როგორც ბინის მხრივ, ისე კულტურული და სხვა ყოველნაირი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მხრივაც. მას აქვს ამის უფლება, და ჩვენც აღვუთქვამთ მას ამ პირობების უზრუნველყოფას“ (სტალინი).

როგორ არის ჩვენში დაყენებული ეს საქმე?

თუმცა ჩვენში, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებისა, უკვე შემოღებულია ც. კ-ის სპეციალური მდივნების თანამდებობა მომარაგების დარგში, მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზეა, ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია.

ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი დეფექტი გვაქვს. ჩვენ არ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას მუშების მომარაგებისა და კვების საუკეთესოდ დაყენებისათვის. 1930 წ. 1 ოქტომბრისათვის საქართველოში იყო 381 სასადილო, 1931 წლის 1 დეკემბრისათვის კი — 731. გაშვებული სადილის რიცხვი გაიზარდა 171 ათასი კერძიდან 315 ათასამდე იმავე პერიოდში.

სასადილოებში ჩვენ ვერ აღმოვფხვრით რიგები. თბილისის ფურნეებში ჯერ კიდევ რიგებია, თუმცა პური ყველასათვის საკმარისია და სხვა.

მუშათა დახურულ განმანაწილებლებში გარდა სხვა დეფექტებისა, ადგილი აქვს ფასების სიჭრელეს. ერთისა და იმავე ხარისხის ქალის პალტო „ხოიუზტრანს“-ის მუშათა დახურულ კოოპერატივში ღირს 48 მან. 20 კაპ., კავშირგაბმულობის დახურულ კოოპერატივში — 65 მან. 88 კაპ., სტალინის სახელობის რაიონის ჯგუფურ დახურულ მუშათა კოოპერატივში — 29 მან. 90 კაპ., ხოლო მკერავთა დახურულ კოოპერატივში — 26 მან. 70 კაპ. სუხიშვილის სახელობის ქარხნის დახურულ მუშათა კოოპერატივში სათვახო საპონი ღირს 22 კაპიკი, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ჯგუფურ დახურულ მუშათა კოოპერატივში — 33 კაპ.

არაა დამაკმაყოფილებელი საზოგადოებრივი სამზარეულოების კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა. თბილისის ფაბრიკა-სამზარეულოს შენება უნდა დაეწყოთ 1929 წელს, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მშენებლობის დაწყება სრულიად საკავშირო კოოპერატიული კვების („ვსეკოოპიტა“-ს) მიზეზით, რომელსაც ორ ნახევარ წლით დააგვიანა სამუშაო ნახაზებისა და პროექტების წარმოდგენა. მაგრამ როცა ნახაზები წარმოადგინა (მეოთხე კვარტალში), მშენებლობის ადგილი (პლეხანოვის გამზირზე) უკვე გადაცემული აღმოჩნდა უცხოელ ტურისტთა საზოგადოებისათვის, რის შედეგადაც პროექტი, რომელიც დამუშავებული იქნა ამ ფართობისათვის, უვარგისი გამოდგა სხვა ნაკვეთისათვის, რაც იწვევს მისი ხელახლა შედგენის საჭიროებას.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ჭიათურის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ფაბრიკა - სამზარეულოების მშენებლობაშიაც.

1932 წელს განზრახულია საქართველოს გემოკვების მრეწველობაში დაბანდებულ იქნას დაახლოებით 18 მილიონი მან., რაც საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად გავაუმჯობესოთ მუშათა მომარაგება.

მომარაგების საქმე მიმდინარე წელს საიმედო ხელში იქნება. საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო ძალები იქნება გადასროლილი ამ ფრონტზე.

იმედი გვაქვს, რომ, მოსკოვისა და ლენინგრადის მსგავსად, სადაც აშკარა წარმატება ამ მხრივ მიღებული, ჩვენ შევძლებთ გადაჭრით მოვაგვაროთ ეს საკითხი. განა ცხადი არ არის, რომ საკითხის არსებით მხარეს წარმოადგენს არა პროდუქტების უქონლობა, არამედ, უმთავრესად, ის, რომ არ გაგვაჩნია უნარი მოვაგვაროთ საქმე და გამოვიყენოთ, როგორც საჭიროა, ის ფონდები, რომლებიც ჩვენ ამისათვის მოგვეპოვება.

საქართველოს სოფლის მეურნეობა

ციფრები, რომლებიც მოვიყვანე მრეწველობის განყოფილებაში საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შეფარდების შესახებ, ამტკიცებენ, რომ საქართველო ჯერ-ჯერობით რჩება აგრარულ-სამრეწველო ქვეყანად, თუმცა იგი იმყოფება სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად სწრაფი გადაქცევის გზაზე.

ამიტომ სოფლის მეურნეობის და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხებს კვლავ ცენტრალური ადგილი უკავიათ საქართველოს კომპარტიის მუშაობაში.

სამი კვირის წინად, ჩვენს მოხსენებაში საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ მოწვეულ რესპუბლიკანურ პარტიულ თათბირზე მე დაწვრილებით შევჩერდი სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე და ჩვენში დაშვებულ შეცდომებზე. ამიტომ ნათქვამი რომ არ გავიმეორო, აქ ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ამ საკითხის შესახებ.

საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში

კოლექტივიზაციის პროცენტი საქართველოში 1931 წლის დამლევს აღწევდა 33 პროც., განსაზოგადოებული ნათესის—31 პროც., ხოლო განსაზოგადოებული მუშა-პირუტყვის—25 პროც. ეს ციფრები გვიჩვენებენ იმას, რომ გასულ წელს ნათესის, პირუტყვის და სხვა ძირითად საწარმოო საშუალებათა კოლექტივიზაცია ჩამორჩებოდა მეურნეობათა კოლექტივიზაციის დონეს, თუმცა 1930 წელთან შედარებით ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს ამ დარგში.

ჩამორჩენა უშუალოდ გამოწვეულია კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების მნიშვნელობის ოპორტუნისტული შეუფასებლობით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის შეცდომას წარმოადგენდა ის, რომ 1930 წლის გაზაფხულზე დაშვებულ შეცდომების გადაჭრით გამოსწორების ნაცვლად, იგი კვლავ უშვებდა ოპორტუნისტულ შეცდომას, ცდილობდა რა გვერდი აევლია კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საჭირო ეტაპისათვის. ამას შედეგად მოჰყვა მთელი რიგი დეფექტები კოლმეურნეობათა ორგანიზაციაში.

სანარდო სისტემა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მეტწილად გატარებულია ფორმალურად. ამიტომ კოლმეურნეობათა ცენტრის ციფრი იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობათა 84 პროცენტი გადავიდა სანარდო სისტემაზე, არ შეეფერება სინამდვილეს.

ძალზე ცუდათ არის მოგვარებული კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომის აღრიცხვა (ჩანაწერები ქაღალდის ნაგლეჯებზე, კოლმეურნეთა ნამუშევარი შრომადღეების აღნიშვნა ჯოხებზე, აღრიცხვა ძაფის გამოსკვნით და სხვ.)—კოლმეურნის შრომის, განსაკუთრებით შრომის ხარისხის აღრიცხვის მოუგვარებლობა ძირს უთხრის სანარდო სისტემას, როგორც კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების ხელისშემწყობ სისტემას, ხოლო სანარდო სისტემის დაუნერგავათ და მოსავლისა და შემოსავლის სწორით განაწილებლად (დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით) შეუძლებელია კოლმეურნეობათა განმტკიცება.

კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტი ტექნიკური და სპეციალური კულტურების რაიონებში (ციფრები მოვიყვანე საკოლმეურნეო თათბირზე) საშუალებას გვაძლევს მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამ რაიონებში კოლმეურნეობანი უკვე გადაიქცნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ძირითად ბაზად.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

როგორია საქართველოს საკოლმეურნეო მოძრაობის ტექნიკური ბაზა?

ჩვენ უდავო მიღწევები გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის დარგში. ეს მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტექნიკური კულტურების რაიონებში, სადაც ამ კულტურების დანერგვისა და გაფართოების ამოცანა სავსებით დაკისრებული აქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს.

1930 წელს საქართველოში მოწყობილი იყო სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური 1.488 ცხენის ძალით, 1931 წლის დამლევს კი უკვე გვქონდა 14 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 5.584 ცხენის ძალით, ხოლო 1932 წელს განზრახულია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვის აყვანა 24-მდე.

ამრიგად, ჩვენ მტკიცედ დავადექით სოფლის მეურნეობაში მანქანების გავრცელების გზას. მაგრამ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ყველგან არ გამხდარან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილ ორგანიზატორებად.

საკმაოდ ფართოდ არ სწარმოებს ცდები ისეთი კულტურების მექანიკური დამუშავებისა და აღების დარგში, როგორიცაა ბამბა, ჩაი და თამბაქო, ამავე დროს წელს ამას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებს, სუსტ დახმარებას უწევენ მათ შრომის სწორ ორგანიზაციაში სანარდო სისტემის ნამდვილად გატარების, შრომის აღრიცხვის მოგვარების და მოსავლისა და შემოსავლის სწორი განაწილების საფუძველზე.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ კადრების საქმეც არ არის დამაკმაყოფილებელი; მთელ რიგ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე არიან ისეთი სპეციალისტები (აგრონომები, ბუღალტრები და სხვ.), რომლებმაც არ იციან ადგილობრივი ენა; თვით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობაში საკმაოდ ფართოდ არ ხორციელდება ამხ. სტალინის ექვსი პირობა.

საბჭოთა მეურნეობები

ამჟამად საქართველოში, მიწსახკომის ცნობებით, არის 174 საბჭოთა მეურნეობა, რომელთა ფართობი უდრის 260 ათას ჰექტარს საძოვრებით და ტყეებით. მათ შორის მეხვდებით ისეთ საბჭოთა მეურნეობებს, რომელთა ფართობი უდრის 200, 100, 50 და 18 ჰექტარსაც კი.

11 ჩაის, 11 ვენახის, 30-დე მეცხოველეობის, შედარებით დიდი 2 ბამბის და მთელი რიგი სხვა საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ მოწინავე რაზმს, რომელიც უძღვება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეს.

მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებს აქვს განსაზღვრული მიღწევები და ისინი მართლაც წარმოადგენენ თანამიმდევარი-სოციალისტური ტიპის სანიმუშო მსხვილ საწარმოებს.

თუ 1930 წელს საბჭოთა მეურნეობებში იყო 50 ათასი ცხვარი, 1931 წელს არის 85 ათასამდე; ღორი—7.258 ნაცვლად 429-ისა; მსხვილი რქოსანი პირუტყვი—16.213 ნაცვლად—5.359-ისა და სხვ.

ვენახის საბჭოთა მეურნეობანი აწარმოებენ რა მუშაობას ვენახის ნარგავების ფართობის გასადიდებლად საბჭოთა მეურნეობების შიგნით, ამავე დროს ეხმარებიან მეზობელ კოლმეურნეობებს მევენახეობის აღდგენის და პროდუქციის გადამუშავების საქმეში.

საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების ფართობის, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების ფართობის ხვედრითი წონა: თუ 1930 წელს საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური კულტურების ფართობის ხვედრითი წონა ტექნიკური კულტურების საერთო ფართობის მიმართ უდრიდა 3,8 პროცენტს, 1931 წელს ეს პროცენტი 10-დე აღწევს.

მაგრამ ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს ჯერ კიდევ მთელი რიგი დეფექტები ახასიათებს.

თამბაქოს საბჭოთა მეურნეობამ „ჯოლევჯიანმა“, მეურნეობის არასწორი ორგანიზაციის მეოხებით, გასული წელი დაამთავრა 600.000 მანეთის ზარალით. ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული იყო ერთი ჰექტარიდან აეღოთ 9,18 ცენტნერი, ფაქტიურად კი მოაგროვეს არა უმეტეს 4 ცენტნერისა, ხოლო ნედლი ბამბის თვითღირებულება მეტად დიდია.

ხშირად საბჭოთა მეურნეობანი საწარმოო დახმარებას არ უწევენ მეზობელ კოლმეურნეობებსა და სოფლებს; ზოგ შემთხვევაში მათი ურთიერთობა აშკარად მტრულია. ამის ძირითადი მიზეზია მიწის გარშემო ატეხილი დავის მოუწესრიგებლობა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშა-ხელის შეგროვების არასწორი ორგანიზაცია, რასაც ხელს უწყობდა საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის დირექტივაც, რომელიც რაიონებს წინადადებას აძლევდა ერთი და ორი დღის ვადაში მოეხდინათ ამდენი და ამდენი მუშის მობილიზაცია საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.

ამგვარად, ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პროცესში ჯერ კიდევ არის. მაგრამ სათანადოდ ჩატარებული ჩვენი ღონისძიებანი—სოფლის მეურნეობაში უკვე იწვევს ძირითად ცვლილებებს საქართველოს სოფელში.

იზრდება ახალი სოფელი, იცვლება გლეხკოლმეურნის ინდივიდუალური ფსიქოლოგია; ახალი სოფელი პირისპირ აწყდება ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტების გაძლიერებულ ცდებს—შეაჩერონ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, დააბრუნონ სოფელი უკან—ძველ კაპიტალიზმში.

კლასობრივი ბრძოლა მწვავდება. კაპიტალისტური ელემენტები, რომელთაც ავიწროებს ჩვენი სოციალისტური შეტევა, გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ.

კლასობრივი ბრძოლის ახლანდელი ეტაპისათვის საქართველოში დამახასიათებელია ყველა ანტისაბჭოთა ძალების კონსოლიდაცია რელიგიის, ეროვნების და პოლიტიკური შეხედულებათა განურჩევლად. კლასობრივი მტერი [illegible] ცდილობს შეიჭრას საბჭოთა აპარატის ყველა ხვრელებში, კოლმეურნეობათა გამგეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვ., რათა შიგნით გაშალოს საბოტაჟი, პროვოკაცია და ააფეთქოს ისინი.

მენშევიკები საქართველოში საბოლოოდ არიან განადგურებულნი. მაგრამ მათი ზოგიერთი ნაშთი კიდევ მოიპოვება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მათ უცხოეთიდან ასაზრდოებენ ემიგრაცია, რომელიც ასრულებს კაპიტალისტური ქვეყნების გენერალური შტაბების მიერ გადაგდებული სამოწყალო ნამცეცებით.

ეს ნაშთები სოფლად ხანდახან აჩირხებენ ზოგიერთს [illegible], ისინი თავიანთ გარშემო შემოიკრიბონ.

ყრილობის დელეგატებმა იციან ამის შემთხვევები დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის ცალკე რაიონებში და სხვ.

კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების მუშაობის გამოცხოველება საქართველოში უშუალოდ გამოწვეული იყო ძველი ხელმძღვანელობის უხეში პოლიტიკური შეცდომებით გლეხობის საკითხში, რაც აღნიშნულია საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

შეცდომები სერიოზული იყო და მათი გამოსწორება ადვილი არ იქნება.

შეცდომები უნდა გამოსწორდეს მთელი ჩვენი პარტიის მედგარი მუშაობით. პარტიის თვითეულმა წევრმა უნდა შეიგნოს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრება ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებთან დაკავშირებით.

(გაგრძელება იქნება)

მერვე სხდომა

კამათი ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. პირველი
(ზემო სვანეთი)

ამხანაგებო!, როგორც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 31 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნა, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა მთელი რიგი უხეში პოლიტიკური შეცდომები, განსაკუთრებით სოფლათ მუშაობის დარგში.

ამ შეცდომებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა სვანეთის რაიონშიაც.

სვანეთის რაიონი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ზემდგომი ორგანოებიდან, მიუხედავათ ამისა საქ. ცეკას ძველი ხელმძღვანელობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ რაიონს. კმაყოფილდებოდა მხოლოთ საკონტროლო ციფრების მოცემით და მტკიცე დავალებების შესრულებაზე „ზრუნვით“.

რაიონში კოლექტივიზაცია ჩატარდა სრულიად მოუმზადებლათ.

გარდა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში დაშვებულ შეცდომებისა, იყო შეცდომები დამზადების დარგშიაც.

ღარიბ და საშუალო გლეხობას ვაძლევდით მტკიცე დავალებებს და ვასრულებინებდით მას.

საქ. ცეკას ახალმა ხელმძღვანელობამ ენერგიულათ მოჰკიდა ხელი დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას.

ძველ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების გამოსწორებისათვის ჩვენ კიდევ უფრო ფართოთ უნდა გავშალოთ მუშაობა, რადგან მეტად დიდ შეცდომებთან გვაქვს საქმე.

საქ. ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სვანეთის რაიონს.

ამხ. ცხოვრებაშვილი
(პროფსაბჭო)

მე მინდა შევჩერდე სამ საკითხზე: პირველ ყოვლისა პროფკავშირების მუშაობა, აქ ამხ. მომხსენებელი ლაპარაკობდა, რომ მასიური მუშაობა მუშგლეხინის ხაზით სუსტია და უსაყვედურებდა არა საკმაო მონაწილეობას ამ საკითხში პროფესიონალურ კავშირებს. ეს შეიძლება მართალიც იყვეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძველი ხელმძღვანელობის მიერ წარმოებული პოლიტიკის პირობებში შეუძლებელი იყო ლაპარაკი პროფკავშირების მხრივ ამ ორგანოსთან ერთად ნამდვილად მასიურ მუშაობაზე.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო გამომგონებელ ბარკალაიას საქმეზე. მუშგლეხინმაც იცოდა ამ საკითხის მდგომარეობა. ჩვენ მთელი წლობით ვიდავეთ სხვადასხვა ორგანოებს გამომგონებელ ბარკალაიასათვის დახმარების აღმოჩენაზე. ის ყველგან იყო დასმული, მაგრამ „საქ. ჩაის“ ძველი ხელმძღვანელები სუგაკის, აკაკი ქავთარაძის, ალექსანდრე კაჭარავას და მათი მბრძანებლების მამულიასა და სხვათა მეოხებით აკრძალული იქნა მსჯელობაც კი ბარკალაიას გამოგონების შესახებ. ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა დადებითად, რაც ბარკალაიას საერთაშორისო მნიშვნელობის გამოგონებამ გაიმარჯვა და ამ საქმეში ჩაერია საკავშირო პროფსაბჭო და სხვა საკავშირო ორგანოები.

პროფესიონალური კავშირები ორ წელიწადზე მეტია ედავება „საქართველოს ჩაი“-ს მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ეს არის ჩაის საბჭოთა მეურნეობათა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

მე ვფიქრობ, ის უმსგავსოებანი, რასაც ადგილი ჰქონდა „საქართველოს ჩაი“-ს აპარატში, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. საჭიროა სუგაკის, ალექსანდრე კაჭარავას და სხვების პასუხისგებაში მიცემა და მათი საჯაროთ გასამართლება.

ამხ. პივოვი

უდავოა ამხანაგებო, რომ ძველი ხელმძღვანელობის შეცდომაში წილი უდევს ცენტრალურ საკონტროლო კომისიასაც. ამ ორგანოს მოწოდება ისეთია, რომ მას ყველაზე უმალ და ენერგიულად უნდა აღემაღლებინა ხმა დაშვებულ შეცდომათა წინააღმდეგ. ნამდვილად კი ეს ასე არ მოხდა. ადგილობრივი აპარატი მუშგლეხინსა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არ აწვდიდა ამომწურავ ინფორმაციას. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნას ზომები ადგილობრივი აპარატის საფუძვლიანად გადახალისებისათვის.

ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობს თუ როგორ არ სურთ ზოგიერთ ადგილობრივ ორგანოებს გამოასწორონ შეცდომები. ნათქვამი არის, რომ შეცდომით ჩამორთმეული ხორბალი დაბრუნებოდა უკან გლეხებს, მაგრამ სამხრეთ ოსეთში არ სურთ ეს გაატარონ. გარდა ამისა ადგილი აქვს ისევ ფასების ხელოვნურად გადიდებას. არის მრავალი შემთხვევები, როდესაც ფასებს ადგილობრივი კოოპერატიული ორგანოები ორმაგად და უფრო მეტადაც ადიდებენ.

საკითხავია, სად არის ამ დროს რაიონული საკონტროლო კომისიები. ისინი აქაც დიდ სისუსტეს იჩენენ.

უდავოა ამხანაგებო, რომ ტექნიკური კულტურების განვითარება შეუძლებელია ისე, თუ ჩვენ ამ კულტურათა რაიონები არ უზრუნველვყავით ხორბლეულით.

ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებზე ლაპარაკი საჭირო და აუცილებელია, მაგრამ არ ვარგა როდესაც ყველა თავის შეცდომასაც ძველ ხელმძღვანელობას აწერს. მაგალითად მათ დიდ თამბაქოს მეურნეობაში ზუგდიდის რაიონში დიდძალი თამბაქო დაილპა, ამის ბრალს ის სდებს მხოლოდ საალმშენებლო ორგანიზაციებს. ჟვანიას ავიწყდება, რომ ჩვენ საალმშენებლო მასალის სიმცირეს განვიცდით და აი ასეთ პირობებში, როდესაც მას აძლევენ მასალას, ის ერთბაშად იწყებს ოთხი საშრობის აგებას და ვერც ერთს ვერ ამთავრებს. ცხადია მოკრეფილი თამბაქო მოუვლელობის გამო დაილუპებოდა.

ამხ. შოგირაძე
(ამიერ-კავკასიის რკინის გზა)

ამხ. ბერიამ სამართლიანად მიაქცია ყრილობის განსაკუთრებული ყურადღება ტრანსპორტის საკითხებს. უნდა ითქვას, რომ დღემდე არ არის განხორციელებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა, რომლებზედაც მიგვითითებენ პარტიის ავტორიტეტული ორგანოების დადგენილებები და ამხ. ანდრეევის ბრძანება. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მაქსიმალური მობილიზაცია იმისათვის, რომ ტრანსპორტის საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლა რაც შეიძლება უახლოესი დროის განმავლობაში აყვანილ იქნას სათანადო სიმაღლეზე.

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავის დადგენილებაში სცნო, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის დადგენილებისა და ამხ. ანდრეევის ბრძანების განხორციელებისათვის. ერთ-ერთი დიდი ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს ტრანსპორტის მუშაობაში, ესაა მასიურად თვალის ახვევის სისტემა, რომელიც დასჩემდათ ზოგიერთ ორგანიზაციებს. გვაძლევდნენ მეტად ოპტიმისტურ ციფრებს, ხოლო საქმის ნამდვილი გამორკვევა წინააღმდეგს გვიჩვენებდა ხოლმე, ეს ყველაზე მეტად საყურადღებო გარემოებაა. და უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებითაც ცენტრალური საკონტროლო კომისია ძალიან სუსტად მუშაობს.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ რაიონული ორგანიზაციები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ტრანსპორტის მუშაობას. ამ ნაკლს ბოლო უნდა მოეღოს. დროა მთელი ჩვენი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის უდიდესი ყურადღება მიექცეს ტრანსპორტს.

ამხ. ვარძიელი
(ამიერ-კავკასიის მუშგლეხინი)

გამოსული ორატორები სავსებით სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ პარტიის საკონტროლო ორგანოებმა დროზე ვერ მისცეს სიგნალი პარტიის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომ აღმოჩენილიყო უფრო მტკივნეულად ის ზიანი, რომელიც მიაყენა ჩვენს მუშაობას ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულმა უხეშმა პოლიტიკურმა შეცდომებმა და უპრინციპო დაჯგუფებამ.

უნდა აშკარად ითქვას, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია ძველი ხელმძღვანელობის ბრმა იარაღად გადაიქცა. ამას ნათელყოფს სიმონ ჯუღელის გამორიცხვა პარტიიდან. აშკარაა, რომ აქ ადგილი ჰქონდა პირად ანგარიშის გასწორებას ჯუღელთან. მეორე ასეთივე ფაქტი იყო მუშკოოპის ხელმძღვანელ მუშაკთა პარტიულ პასუხისგებაში მიცემა. ცენტრალური პრესის გამომჟღავნებების თანახმად ჩვენ პასუხისგებაში მივეცით მთელი რიგი მუშაკები, მაგრამ შემდეგ ამ სიას ქართველიშვილის მითითებით დაემატა ამხ. ერისთავი, ამირაღოვი, და ძაგანია, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ მუშკოოპის აპარატში აღმოჩენილ უმსგავსოებებთან.

აი ამხანაგებო ყოველივე ეს უთუოდ არის „ატამანშჩინის“ საუკეთესო მაჩვენებელი, რასაც ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ამხ. პ. შარია
(მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი)

ძველი ხელმძღვანელობა ცოტა ყურადღებას აქცევდა მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებას. ჩვენ არა ერთხელ შეგვიტანია ამის შესახებ წერილობითი განცხადებები პარტიის ცეკაში, სადაც აღვნიშნავდით, რომ მეცნიერ მუშაკთა მომზადება თვითდინებაზეა მინდობილი. არ არის ამ დარგში საკონტროლო ციფრები, სასწავლო გეგმები და პროგრამები, ასპირანტები თვეში ღებულობენ 250 მანეთიან სტიპენდიას, ფორმალურად არიან მიმაგრებული პროფესორებთან და საქმეს კი არაფერს აკეთებენ, მაგრამ ყოველივე ეს უყურადღებოდ რჩებოდა.

ძველი ხელმძღვანელობის უხეირო მუშაობის ერთ-ერთ შედეგად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი დისციპლინების კათედრები ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში თავისუფალია. ვინაიდან ჩვენ არა გვყავს სამეცნიერო ძალები და ვინც არის, ისინიც ხშირად თავისი იდეოლოგიით ჩვენთვის მიუღებელნი არიან.

უმწეო მდგომარეობაშია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მას ჯერ ბინაც კი არა აქვს ხეირიანი. ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მოვიწვიოთ ასპირანტები და ფართოდ გავშალოთ მუშაობა მარქსისტ-მეცნიერთა კადრების მოსამზადებლად.

რამდენიმე სიტყვა სახელგამზე, გუშინ ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი მეუბნებოდა, რომ სახელგამში წინანდელ ხელმძღვანელობას ჩაუბარებია სტამბებისათვის მრავალი წიგნი, ავანსები ამ წიგნებზე 80 პროცენტით უკვე გაცემულია. ამავე დროს თითქმის ყველა ისინი საეჭვო ღირსების არიან. წიგნები კი უკვე დაბეჭდილია. ვფიქრობთ, ჩვენ ამ მატერიალურმა ზარალმა არ უნდა შეგვაშინოს და ეს უვარგისი ლიტერატურა უნდა ამოღებულ იქნას ხმარებიდან.

ამხ. ქ. ქაჯარავა
(განსახკომი)

მუშათა და გლეხთა ინსპექცია პარტიის თვალი და ყური [illegible] ებრძოდა ეს ორგანო ძველი ხელმძღვანელობის დროს ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში, როგორიცაა სასკოლო მუშაობა. ჩვენ გვაქვს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას წარსული წლის 5 სექტემბრის დადგენილება სკოლის შესახებ. საჭიროა თვალყური ვადევნოთ ამ დადგენილების განხორციელებას, მაგრამ ეს ასე არ ხდება. მთელ რიგ რაიონებში უყურადღებოთაა მიტოვებული მასწავლებელთა მომარაგების საქმე, მაშინ როდესაც ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო მუშაობაში. არ ექცევა ყურადღება სკოლების მშენებლობას, ძალიან ძუნწად იძლევიან საალმშენებლო მასალებს.

ცენტრალური საკონტროლო კომისია ძალიან სუსტად იბრძვის პარტიიდან ერთხელ ლიკვიდურად გამორიცხული პირების აღდგენის წინააღმდეგ. ეს ხდება იმის გამო, რომ ცალკე საეჭვო ელემენტებს მხარს უჭერენ ზოგიერთი გავლენიანი პირები და საკონტროლო კომისია მათ სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს. რა უნდა მაგალითად ჩვენს პარტიაში ისეთ ელემენტს, როგორიცაა ზოსიმე ჩახვაძე. ჩახვაძე ჯერ ბოლშევიკი იყო, შემდეგ უღალატა მან ბოლშევიკურ პარტიას, გადავიდა მენშევიკებში და ამის შემდეგ ის ისევ შემოვიდა ბოლშევიკურ პარტიაში. ხონის პარტორგანიზაციამ დამალა, რომ ამის შესახებ გაეკეთა აქ ეს განცხადება. ან და აიღეთ ფალავა ყოფილი ფედერალისტი და სახალხო გვარდიელი. ფალავა უცხო ელემენტია ჩვენი პარტიისათვის, ის სრულიად დაუმსახურებლად ტალახში სვრის ხონის პასუხისმგებელი მუშაკების სახელს. ასეთი ტიპის დასაცავად ჩავიდა ხონში ანია მამულია.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. შამშე ლეჟავა

1932 წლის პირველ იანვარს საქართველოს კ. პ. (ბ) რიგებში სულ ირიცხებოდა 51.582 კომუნისტი, აქედან პარტიის წევრია 31.634 კაცი, ხოლო კანდიდატი 19.948 კაცი; ამ ციფრებში არ შედის სამხედრო პარტორგანიზაციების ცნობები.

მიმდინარე ყრილობაზე სულ წარმოგზავნილ იქნა 424 დელეგატი, ყველანი გადამწყვეტი ხმით, სათათბირო ხმით დელეგატები არჩეული არ ყოფილან. წინა ყრილობაზე დელეგატთა რიცხვი გადამწყვეტი ხმით უდრიდა 398-ს, ხოლო სათათბირო ხმით 25-ს.

მამაკაცების რიცხვი მე-8 ყრილობაზე უდრის 406, მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა—248. ქალების რიცხვი მერვე ყრილობაზე უდრის 16,3 პროც., მეშვიდე ყრილობაზე დელეგატ ქალთა რიცხვი უდრიდა 13 პროც.. სოციალური მდგომარეობის მიხედვით მერვე ყრილობაზე მუშების რიცხვი უდრიდა 222 კაცს; მეშვიდე ყრილობაზე მუშების რიცხვი უდრიდა 149-ს. მოსამსახურეთა რიცხვი მერვე ყრილობაზე უდრის 154-ს, მოსამსახურეთა რიცხვი მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 98-ს. ამ რიგად მოსამსახურეების პროცენტმა წინა ყრილობასთან შედარებით დაიკლო 3 პროცენტი.

დაზგას მუშა მერვე ყრილობაზე დელეგატთა შორის არის 65 კაცი, მეშვიდე ყრილობაზე კი იყო 41 კაცი, დამკვრელები მერვე ყრილობაზე არის 49 კაცი, მეშვიდე ყრილობაზე დამკვრელები არ ყოფილან ვინაიდან დამკვრელობა მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახში იყო.

პარტიული სტაჟის მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: მერვე ყრილობაზე პარტიის წევრთა რიცხვი 1907 წლიდან უდრის 60 კაცს, ანუ 14.2 პროც., მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 77, ანუ 29,5 პროც., პარტიაში 1917-დან 1923 წლამდე შესულთა რიცხვი უდრის—250 კაცს. მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 132 კაცს. პარტიაში 1924-დან 1926 წლამდე შესულთა რიცხვი უდრის 140 კაცს, მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 44 კაცს. 1927-დან და მას შემდეგ პარტიაში შესულთა რიცხვი უდრის 53 კაცს. მეშვიდე ყრილობაზე კი უდრიდა 8 კაცს.

ეროვნების მიხედვით დელეგატებს შორის ქართველების რიცხვი უდრიდა—296 კაცს, ანუ 70,1 პროც., მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 178 კაცს, ანუ 68.3 პროც. სომხების რიცხვი უდრის 47 კაცს, ანუ 11,2 პროც., მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 32 კაცს, ანუ 12,3 პროც., თურქების რიცხვი უდრის 13 კაცს, ანუ 3,1 პროც., მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 6 კაცს, ანუ 2,3 პროც. ოსების რიცხვი 7 კაცს, მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 5 კაცს, აფხაზების რიცხვი 9 კაცს, მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 3 კაცს, აჭარლების რიცხვი 3 კაცს, მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 4 კაცს. რუსების რიცხვი 40 კაცს, მეშვიდე ყრილობაზე უდრიდა 29 კაცს. დანარჩენები 9 კაცი, მეშვიდე ყრილობაზე იყო 4 კაცი.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება. ამის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუციები ამხ. ლ. ბერიას და ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენებათა გარშემო.

ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები: საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა, სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობა.

დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილის ვრცელი სიტყვა ყრილობის შედეგებისა და საქ. კ. პ. (ბ) მორიგი ამოცანების შესახებ, რის შემდეგაც ყრილობა დაიხურა.

ყრილობის დღიური

24 იანვრის დილის სხდომა

24 იანვრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ორატორებმა: ამხ. ცხოვრებაშვილი (პროფსაბჭო), პივოვი, შოგირაძე (ტრანსპორტი), ვარძიელი (ამიერ-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისია). შარია (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) და ქაჯარავა (განსახკომი).

24 იანვრის საღამოს სხდომა

24 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ამხანაგებმა: შამშე ლეჟავა, ბოლქვაძე (უზენაესი სასამართლო), აბულაძე (ზესტაფონი), შავერდოვი (ამიერ-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისია), ასრიბეკოვი (ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი), ბედია (ფოთი), გიორგი სტურუა (პროფსაბჭო), კვანტალიანი (ამ.-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისია), ჭოლოკავა (ხონი), მოდებაძე (შავი ქვის წარმოება), მეგრელიშვილი (საქ. კ. პ. (ბ) საკონტროლო კომისია).

დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. ვ. მზარეულაშვილის საბოლოო სიტყვა. ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, მიიღო რეზოლიუციები ამხ. ლ. ბერიას და ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენების გარშემო, რის შემდეგაც არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ორგანოები.

ყრილობა დაიხურა ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვით.

მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის წინ

ხუთწლედის უკანასკნელი წლის გრანდიოზული გეგმების შესრულება

გადაჭრით მოითხოვს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას ყველა რგოლებში

„კარგად ის მუშაობს, ვინც უკეთ იბრძვის მუშაობის ცუდი ხარისხის წინააღმდეგ“
(„პრავდა“)

როგორ ემზადებიან მე-17 საკავშირო პარტკონფერენციისათვის

(მაუდ - კამვოლის მუშათა პატაკი)

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშები, მუშა - ქალები და ინჟინერ - ტექნიკოსთა პერსონალი მხურვალედ ესალმებიან თბილისის ტრამვაის მუშების მოწოდებას მე-17 საკ. პარტკონფერენციის მოსამზადებელ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ.

მე-17 პარტკონფერენციის სამზადისთან დაკავშირებით ჩვენ ვკისრულობთ, — აცხადებენ მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშები, რომ ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი და სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ პარტიულ კომკ. და პროფორგანიზაციის მუშაობა, ამხ. სტალინის 6 მითითების ურყევად გატარების საფუძველზე.

— იანვრის ბოლოსათვის 30 ბრიგადის ნაცვლად, რომელიც ეხლა გვაქვს, სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანთ ყველა ბრიგადებს და ცალკე ჯგუფებს.

— გათანაბრებასთან ბრძოლის მიზნით 30 იანვრამდე სანარდო პროგრესიულ სისტემაზე მთლიანად გადავიყვანთ საკამვოლო ცეხს და მოვამზადებთ ნიადაგს საპარატო ცეხის სანარდო - პროგრესიულ სისტემაზე გადასაყვანად.

მეტს ჩამოვაყალიბებთ ტექნიკის შემსწავლელ წრეებს და სათანადო სიმაღლეზე დავაყენებთ მის მუშაობას. — მინიმუმამდე დავიყვანთ საწვავი მასალის და ელექტრო - ენერგიის ხარჯვას.

— გავაუმჯობესებთ მუშათა მომარაგებას და ჩვენი ქარხნის მესამე სმენას უზრუნველვყოფთ ცხელი საუზმით.

— ჩამოვაყალიბებთ მუშათა დამკვრელ ბრიგადებს შინა რესურსების მობილიზაციისათვის.

ჩამოვაყალიბებთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებს, რომელშიც მთელი 100 პროცენტით ჩავაბამთ პარტიის წევრებს და კანდიდატებს.

— მოვაწესრიგებთ ქარხნიდან მუშათა წინადადებების შეგროვების საქმეს და უზრუნველვყოფთ საქმიანი წინადადებების ცხოვრებაში გატარებას.

— მოვაწყობთ სოციალისტურ შეჯიბრებას ცეხებს, ბრიგადებს და ჯგუფებს შორის, ამხ. სტალინის 6 მითითების უკეთესად გატარებისათვის.

უმაღლეს საფეხურზე ავიყვანთ სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას მასში მუშაობათ ახალი რაზმების ჩაბმით.

— საუკეთესო დამკვრელ მუშებს და მუშა - ქალებს მივიზიდავთ პარტიის რიგებში.

მე-17 საკ. კონფერენციისათვის მოსამზადებელი მუშაობის უკეთ ჩატარების მიზნით სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ მკერავის № 1 ფაბრიკას.

მუშაობა არ არის გარდაქმნილი

ყველა სუსტად მუშაობს

ამხ. მოლოტოვის სახ. თბილისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა ქვედა პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარების შემდეგ, მაგრამ მაინც სამარცხვინო მაჩვენებლებით ხვდება საკ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტიულ კონფერენციას.

ქარხანაში მუშაობს 240 მუშა; აქედან 68 პარტიის წევრ-კანდიდატია.

ქარხანასთან არსებულმა პარტუჯრედმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინა საფუძვლიანი გარდატეხა თავის მუშაობაში—ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე. პარტუჯრედთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სექტორები, რომელთაც შემუშავებული აქვთ სამუშაო გეგმა, მაგრამ გეგმაში გათვალისწინებული მუხლების შესრულების შემოწმება ჯერ არ მომხდარა.

ადგილობრივმა პარტიულმა, პროფესიონალურმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების საფუძველზე:

ფაბრიკაში ადგილი აქვს ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბრების კონკრეტულ მაგალითებს;

— ფაბრიკა არაა გადასული სამეურნეო ანგარიშზე;

ფაბრიკას 32 წლის საკონტროლო ციფრებით საშუალოდ სჭირდება 318 მუშა; ამჟამად კი მუშაობს 240 კაცი. ადგილობრივ, პარტიულ პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებს არც კი უფიქრიათ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადებათ—მუშა-ხელის მოწოდების შესახებ.

ფაბრიკაში სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის მსვლელობას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლების შესრულების შესამოწმებლად არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

არადამაკმაყოფილებელია პროფ. ორგან. მუშაობა

ფაბრიკაში პროფორგანიზაციის მუშაობა ოპორტუნისტულ თვითდინებაზეა დაყრდნობილი.

საფაბრიკო კომიტეტმა ვერ აუღო ალღო მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და სხვა.

სუსტია კომკავშირის მუშაობაც

ასევე ითქმის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაზედაც.

კომკავშირმა ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა საკ. ა.ლ.კ.კ. მეცხრე ყრილობის დადგენილებების საფუძველზე. ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციაზე პარტიის ხელმძღვანელობაც სუსტია.

ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია სამი პოლიტსკოლა, რომელშიაც გაერთიანებულია 52 კაცი. აქედან მხოლოდ 35 პარტიის წევრია. პოლიტსკოლების მეცადინეობა თვითდინებაზეა დაყრდნობილი. პოლიტსკოლის ხელმძღვანელ ამხ. ურუშაძის გამოუცხადებლობის გამო რამდენიმეჯერ მოწვეული მეცადინეობა ჩაიშალა, მაგრამ ადგილობრივ ორგანიზაციებს არავითარი ღონისძიებანი არ მიუღიათ ასეთი ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

ფაბრიკის პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების ასეთი მუშაობის შედეგად მივიღეთ ის რომ ფაბრიკამ 31 წლის საწ. საფინანსო გეგმა მხოლოდ 30,5 პროცენტით შეასრულა. ასევე დანაკლისებით შესრულდა ხუთწლედის მეოთხე და უკანასკნელი წლის პირველი კვარტალის იანვრის თვის ორი დეკადის გეგმა: ფაბრიკამ იანვრის თვის პირველი დეკადის გეგმა მხოლოდ 84 პროცენტით შეასრულა.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის სამკუთხედის მუშაობა ჯერ კიდევ მოუქნელად სწარმოებს.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და წარმატებით დახვდნენ საკ. კ.პ. (ბ) მე-17 პარტიულ კონფერენციას.

თომას—ძე.

ამხ. კაგანოვიჩის გამოსვლა

მესამე საოლქო და მეორე საქალაქო მოსკოვის პარტკონფერენციაზე

მოსკოვი, 25 იანვარი. მესამე საოლქო და მეორე საქალაქო პარტკონფერენციის დილის სხდომაზე 24 იანვარს დამთავრდა ამხ. **კაგანოვიჩის** მოხსენება. ამხ. კაგანოვიჩმა გააკეთა ვრცელი ანგარიში მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ძირითად საკითხებზე, იმის შესახებ, თუ მოსკოვის ორგანიზაცია როგორ ატარებდა ცხოვრებაში პარტიის გენერალურ ხაზს, მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ამხ. **სტალინის** 6 პირობას. თავის მოხსენებაში ის ვრცლად შეეხო ცალკე ქარხნებსა და მშენებლობებს, მუშათა მასების მატერიალური მდგომარეობისა და შრომის ხელფასის საკითხებს, საზოგადოებრივი კვების, კოოპერაციის მუშაობისა და საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხებს, მუშათა კლასის კულტურული ზრდის საკითხებსა და სხ.

დაახასიათა რა საერთაშორისო მდგომარეობა ამხ. კაგანოვიჩი ვრცლად შეეხო კაპიტალიზმის თანამედროვე მსოფლიო კრიზისს და მის თავისებურებას, წინააღმდეგობათა გამწვავებას როგორც იმპერიალიზმის ქვეყნებს შორის, ისე კაპიტალიზმის ქვეყნებსა და სოციალიზმის ქვეყანას შორის. საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საფუძველზე ამხ. კაგანოვიჩმა გაშალა მოსკოვის პარტორგანიზაციის მუშაობის მორიგი ამოცანები მრეწველობისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების, უცხოეთის გავლენისაგან შემდგომი განთავისუფლების, იმპორტის შეწყვეტის დარგში და სხვ.

ამხ. კაგანოვიჩი შეეხო სოფლის მეურნეობას და შეჩერდა მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის განვითარების ამოცანებზე, კერძოდ, ყველის წარმოების, საკვები ბაზის შექმნისა და მებოსტნეობის საქმის განვითარების საკითხებზე.

შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი ვრცლად შეჩერდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე და დასახა შემდგომი ამოცანები კოლექტივიზაციის დარგში ამხ. კაგანოვიჩმა ხაზი გაუსვა კოლექტივიზაციის 1932-33 წელს დამთავრების ამოცანას და აღნიშნა ბრძოლის საჭიროება კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცებისათვის, საქონლიანობისათვის და მოიყვანა მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები ცალკე კოლმეურნეობებისა და აგრეთვე ცალკე სოფლის პარტიული უჯრედების ცხოვრებიდან მათი ბრძოლის შესახებ საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის. თავის მოხსენებაში ამხ. კაგანოვიჩი შეჩერდა აგრეთვე პურის, ხორცისა და ბოსტნეულის დამზადების საკითხებზე, მან კონფერენციის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქალაქო მეურნეობის ძირითად საკითხებს, კერძოდ მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხს, წყლის პრობლემას და ხაზი გაუსვა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაშლისა და სარეწაო კოოპერაციის განვითარების ამოცანას, კერძოდ რემონტის ამოცანას და ამოცანას ფეხსაცმელისა და ტანისამოსის დაკერების უკეთ მოწყობის შესახებ მუშებისათვის, ბარაკებისა და საერთო საცხოვრებლების გაუმჯობესებისა და მოწესრიგების ამოცანებს.

ამხ. კაგანოვიჩმა, რომელიც გადავიდა მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელობის საკითხებზე, აღნიშნა, რომ მოსკოვის კომიტეტი ხელმძღვანელობას სწავლობდა ცენტრალური კომიტეტისაგან, რომლის ყოველდღიური ხელმძღვანელობითაც იგი მუშაობდა.

იგი შეეხო პარტიული უჯრედების ზრდას და ცხადჰყო ეს მუშების მთელი რიგი განცხადებებით პარტიაში შესვლის შესახებ სოციალიზმისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

მომხსენებელმა დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიის წევრებისა და კანდიდატების იდეური აღზრდის საკითხს.

ამხ. კაგანოვიჩი გადავიდა პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის საკითხებზე და ვრცლად შეეხო იმას, თუ როგორ იბრძოდა მოსკოვის ორგანიზაცია გენერალური ხაზისათვის, მის სხვადასხვაგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ. შემდეგ მან აღნიშნა, რომ ეხლანდელი პერიოდი მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებით გაძლიერებულ ბრძოლას ლენინური ხაზიდან გადახვევათა წინააღმდეგ. — იქნება ეს ბურჟუაზიული ტენდენციები „სოიუზსახარ“-ში, თუ დამახინჯებანი ჩვენი პარტიის ისტორიის გაშუქებაში. მთელი რიგი კონკრეტული ილუსტრაციების საშუალებით ამხ. კაგანოვიჩმა აღნიშნა, თუ რა საზიანოა **მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის** თხზულებათა სიწმინდისათვის იდეური ბრძოლის შეცვლა პარტიიდან გამორიცხვის მექანიკური ზომების მიღებით. შემდეგ ამხ. კაგანოვიჩი შეჩერდა ცენტრალური კომიტეტის დირექტივების არსებით შინაარსზე მეორე ხუთწლედში და ამ დირექტივების უდიდეს მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის ახალი ფორმები, ხაზი გაუსვა ბრძოლის საჭიროებას სხვადასხვა გადახრების წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზიდან, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ!

ამხ. კაგანოვიჩმა თავისი მოხსენება დაამთავრა მქუხარე ტაშის ცემით იმ დროს, როცა განაცხადა რომ მოსკოვის ორგანიზაცია ამჟამად შეკავშირებულია ისე, როგორც არასოდეს, ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის — პარტიის ბელადის ამხ. **სტალინის** გარშემო (ადს).

ლენინის დღეები უცხოეთში

პარიზი, 22 იანვარი. „ლუმანიტე“-ს ლენინის, ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის სიკვდილის წლის თავისათვის მიძღვნილ ნომერში მოყავს ვრცელი ნაწყვეტი ლენინის წერილებიდან, აგრეთვე ამხ. სტალინის და კრუპსკაიას წერილებიდან ლენინის და ლენინიზმის შესახებ.

ამხ. **კაშენი** თავის წერილში აშუქებს იმ როლს, რომელიც შეასრულა ლენინურმა ბოლშევიკურმა პარტიამ ხელისუფლების და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

წერილში ნათქვამია:

„**საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხთა მასებმა გაიმარჯვეს ლენინის დროშით.** მათი გამარჯვება ახლა უზრუნველყოფილია იმის მიზეზით, რომ ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებელნი მტკიცედ ასრულებენ ბელადის ანდერძს“.

„საჭიროა — აცხადებს შემდეგ ამხ. კაშენი, — რათა ყველა ქვეყნის პროლეტარები მზად იყვნენ თავიანთ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან გამოიყენონ ლენინის და მისი იმ მოწაფეთა მითითებანი, რომელნიც მის უკვდავ საქმეს განაგრძობენ“ (ადს).

ტოკიო, 22 იანვარი. 20 იანვარს დილით საიმპერატორო უნივერსიტეტის 1.000-ზე **მეტმა სტუდენტმა მოაწყო დემონსტრაცია ლენინის სიკვდილის წლისთავთან დაკავშირებით.** დემონსტრანტებმა წამოაყენეს მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები. **მოხდა სერიოზული შეტაკება პოლიციასთან,** რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო წითელი დროშები და გაეფანტა დემონსტრანტები. დააპატიმრეს ორი სტუდენტი (ადს).

საფრანგეთი არავითარ დათმობაზე არ მიდის

ამერიკა ჰუვერის მორატორიუმის ვადის გაგრძელების წინააღმდეგ.

პარიზი, 22 იანვარი. პრესა იუწყება, რომ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვაზე (რომელიც გუშინ ამერიკის პარიზელ ელჩს ედჯუს გადაეცა): თანახმა იქნება თუ არა ამერიკა გაგრძელდეს ჰუვერის მორატორიუმის ვადა (ადს).

რევოლიუციონური აჯანყება ბარსელონაში

ძალაუფლება მონრესში აჯანყებულთა ხელშია

მადრიდი, 24 იანვარი. ესპანეთის ბურჟუაზიული პრესა შეშინებული ტონით აქვეყნებს ცნობებს საბრძოლო გამოსვლების შესახებ ბარსელონას პროვინციაში.

დღეს მანრესში (ბარსელონას პროვინცია) და მთელ რიგ სხვა პუნქტებში ერთბაშად გაიფიცნენ მუშები. გაფიცულებმა წააქციეს ტელეგრაფის ბოძები და შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ სასურსათო მაღაზიები.

მთელ რიგ სოფლებში აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და განაიარაღეს სამატენისტები (მოხალისე პოლიცია).

სარაგოსიდან მანრესში ავტომობილებით გაგზავნეს 200 ჟანდარმი. მანრესში გაიგზავნა აგრეთვე ორი ქვეითი ბატალიონი, კავალერიის რამდენიმე ესკადრონი და არტილერიის ნაწილები (ადს).

პარიზი, 24 იანვარი. არსებული ცნობებით, სურიაში მუნიციპალიტეტის შენობაზე ფრიალობს წითელი დროშა. გზებზე შეიარაღებული რაზმები აჩერებენ ავტომობილებს.

მანრესში ძალაუფლება შეიარაღებული ძალების ხელშია.

ბარსელონაში პოლიციამ დააპატიმრა 60 ცნობილი ანარქო-სინდიკალისტი და ანარქისტი.

რევოლიუციონური მოძრაობა ფართოვდება

მადრიდი, 24 იანვარი. რევოლიუციონური მოძრაობა ესპანეთში ფართოვდება. ბარსელონაში გამოცხადდა საერთო გაფიცვა. მოძრაობა ქალაქში შეწყდა. დაპატიმრებულია 35 კომუნისტი.

საერთო გაფიცვა გრძელდება მანრესშიც. კორდოვში მუშებმა ცეცხლი წაუკიდეს ეკლესიას.

სოფ. ბერგში (ბარსელონას პროვინცია) აჯანყებულმა მუშებმა ბრძოლა გაუმართეს მოსულ ჯარებს.

ლაკორენიაში (ჩრდილოეთ-დასავლეთი ესპანეთი) მოხდა გაფიცულ მუშების და პოლიციის შეტაკება. ერთი მუშა მოკლულია, ერთი მძიმედ დაიჭრა. საერთო გაფიცვა გრძელდება.

საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა აგრეთვე მალაგაში, ვიგაში და კორუნიაში (გალისიას პროვინცია).

ბარსელონაში მივიდა ორი სამხედრო გემი. იქვე გაიგზავნა აეროპლანების ორი ესკადრილია.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშებს გამოაცხადონ 25 იანვარს ესპანეთში საყოველთაო გაფიცვა. პოლიცია ფეხზე დგას. აპატიმრებენ კომუნისტებს და იღებენ ზომებს, რომ შრომის კონფერენციამ (ანარქო-სინდიკალისტები) კორდოვში გამოუშვას მოწოდება საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ (ადს).

მთავრობის დეკლარაცია ბარსელონას ამბების გამო

მადრიდი, 24 იანვარი. პრემიერ აზანიას მიერ პარლამენტში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ მანრესში მომხდარი აჯანყება რევოლიუციონური ხასიათისაა. აზანიამ დაუმატა, რომ შეთქმულებას უნდა გამოეწვია აჯანყება მთელს ესპანეთში უახლოეს ორშაბათს (ადს).

რევოლიუციონური მუშები და გლეხები აარსებენ საბჭოებს

პარიზი, 24 იანვარი. „ლუმანიტე“ იტყობინება, რომ ბერგასალენდ-მანრესის რაიონი უკანასკნელ დღეებში რევოლიუციონური და სამხედრო მოქმედების ასპარეზს წარმოადგენს. ბრძოლა მასიურ ხასიათს იღებს და სწარმოებს შეიარაღებული მუშებისა და გლეხების მიერ პოლიციისა და ჯარების წინააღმდეგ. რევოლიუციონერები ერეკებიან პოლიციას, იპყრობენ ქალაქებს, სოფლებს და აარსებენ მუშათა და გლეხთა საბჭოებს.

ბერგაში ძალაუფლება მუშების ხელშია. პოლიცია იძულებული შეიქნა შეეწყვიტა წინააღმდეგობა და გამაგრებულიყო ყაზარმებში. ახლო-მახლო რაიონებიდან აჯანყებულებს შეუერთდა 1000 შეიარაღებული მუშა.

სურიაში ძალაუფლება მუშებისა და გლეხების ხელშია. მუნიციპალიტეტის შენობაზე ფრიალობს წითელი დროშა. მუშები შეეცადნენ დაეკავებიათ მეზობელი ქარხნები და მაღაროები.

სალენტეში მუშებმა დაიკავეს რკინის გზის სადგურები. რკინის გზის ხაზის ნაწილი აჯანყებულთა კონტროლის ქვეშ იმყოფება (ადს).

იაპონია ემზადება შანხაის დასაპყრობად

ტოკიო, 24 იანვარი. იაპონიის საზღვაო ხელისუფლებამ იზკურიდან შანხაიში გაგზავნა ერთი კრეისერი 4 გამანადგურებლით და საზღვაო ქვეითი ჯარის დიდი რაოდენობით.

ამჟამად შანხაიში იმყოფება იაპონიის ოთხი სამხედრო გემი.

დამთავრდა მზადება ერთი კრეისერის და 12 გამანადგურებლის გასაგზავნად სასებიდან შანხაიში.

შანხაიში მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით ფლაგმანის გემს, წყალქვეშა ნავების პირველ ფლოტილიას და აგრეთვე გამანადგურებლების მე-22-23 და 30 ესკადრილიას წინადადება მიეცა ემზადონ ჩინეთის წყლებში წასასვლელად. (ადს).

ტოკიო, 24 იანვარი. იაპონიის პრესა ფიქრობს, რომ შანხაის ამბები გახდება საბაბათ ანტიიაპონური გამოსვლების ლიკვიდაციის ახალი ცდებისათვის შანხაიში. ჩინეთის წყლებში მდგომ იაპონიის სამხედრო ფლოტის სარდალმა შიოზავამ განაცხადა: „მიღებული იქნება აგრესიული ზომები და ეს ზომები გავრცელდება სეტლმენტის (უცხოეთის უბნის) ტერიტორიაზეც, მაგრამ აღნიშნა, რომ „უცხო სახელმწიფოთა ინტერესები მიღებული იქნება მხედველობაში და დაცული“. (ადს).

შანხაი, 24 იანვარი. გუშინ შანხაიში მოვიდა იაპონიის კრეისერი, რამდენიმე გამანადგურებელი და ჰაეროპლანების მზიდავი გემი „ნოტერო“. გემებმა გადმოსხეს 500 იაპონელი ჯარისკაცისაგან შემდგარი დესანტი, რომელსაც თან ახლავს მძიმე არტილერია, ტყვიამფრქვევები და სამხედრო მოწყობილობა. იაპონიის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ დიპლომატიური ღონისძიებანი არ გამოიღებს დადებით შედეგებს, იაპონიის ჯარები იკისრებენ კონტროლს უცხოეთის უბანის ახლო მდებარე ჩინეთის ტერიტორიაზე და დაიკავებენ გომინდანის და ჩინეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ორგანოების ბინებს და არსენალს.

იაპონელებს განზრახული აქვთ შემოიღონ სამხედრო წესები (ადს).

ტოკიო, 24 იანვარი. იაპონიის გენერალურმა კონსულმა შანხაიში მურაიმ ჩინეთის ხელისუფალთ გადასცა ულტიმატუმი, როგორც ჩანს იმის შემდეგ, რაც შანხაიში ჩავიდა იაპონიის ესკადრა 17 გემის შემადგენლობით. ჩინელები ამაგრებენ ნანკინს.

ნანკინის მთავრობა და იაპონიასთან კონფლიქტი

შანხაი, 24 იანვარი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, საკითხი ჩინეთის დამოკიდებულების შესახებ მანჯურიის კონფლიქტისადმი ნანკინის მთავრობის მსჯელობის მთავარი თემაა. რეიტერი აღნიშნავს, რომ ალბად მიღებული იქნება წინადადება დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ იაპონიასთან უმთავრესად იმიტომ, რომ ოპოზიციას არ შეუძლია წამოაყენოს სხვა გამოსავალი მდგომარეობიდან (ადს).

საბჭოთა კავშირი

ლენინის რჩეული ნაწერები უცხო ენებზე

მოსკოვი, 22 იანვარი. გამომცემლობა, რომელსაც დაკისრებული აქვს სამსახურის გაწევა საბჭოთა კავშირში მყოფ უცხოელი მუშებისათვის, შეუდგა ლენინის რჩეული ნაწერების გამოცემას ექვს ტომად უცხო ენებზე. პირველი ტომი გერმანულ ენაზე გამოვა 1932 წლის თებერვალში. მე-17 პარტკონფერენციისათვის გამოშვებული იქნება დიდი ფოტო ალბომი „ქვეყანა, სადაც არ არის უმუშევრობა“. სურათებს დართული აქვს ახსნა - განმარტება გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე (ადს).

1927 წლის და 1930 წლის სესხის ტირაჟი.

მოსკოვი. 21 იანვარი. 20 იანვარს მოსკოვში, გლეხის სახლში, გაიმართა 1927 წლის სახელმწიფო ათპროცენტიანი მომგებიანი სესხის მეოცე ტირაჟი და 1930 წლის სახელმწიფო ცხრაპროცენტიანი მომგებიანი სესხის მერვე ტირაჟი.

1927 წლის სესხის მეოცე ტირაჟში გათამაშებულ იქნა 560.000 მანეთის 3.200 მოგება.

ერთი მოგება 50.000 მანეთის რაოდენობით ხვდა ობლიგაციას № 90692, სერ. 16; ორი 25-ათასიანი მოგება ხვდა ობლიგაციებს № 5423, სერ. 12 და 47128, სერ. 12; ათ-ათი ათასი მანეთი მოიგო ობლიგაციებმა №№ 147. სერ. 1: 3310, სერ. (გამოტოვებულია); 83434, სერ. 17; 159033 სერ. 7.

1930 წლის სესხის მერვე ტირაჟში გათამაშებულ იქნა 125.000 მანეთის 25 მოგება. 50.000 მანეთიანი მოგება ხვდა ობლიგაციას № 377, სერ. 47, 25.000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას № 767, სერ. 174. ათ-ათი ათასი მანეთი მოგება ხვდა ობლიგაციებს №№ 236, სერ. 173; 231, სერ. 641; 355, სერ. 695 (ადს).

გაიხსნა ა.-კ. ცაკის მეორე სესია

25 იანვარს თბილისში, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში, გაიხსნა მე-3 მოწვევის ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია.

სხდომების დარბაზი მორთულია დროშებითა და ლოზუნგებით: „განვამტკიცოთ ა.-კ. ფედერაციის ეკონომიური სიძლიერე“, „პროლეტარული თვითკრიტიკის საშუალებით აღმოვფხვრათ ყველა ნაკლოვანებანი საბჭოების მუშაობაში“, „ამხ. სტალინის 6 პირობის საფუძველზე გავშალოთ შემდგომი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის, ნავთისათვის, ბამბის, ტრანსპორტისა და ჩაისათვის“ და სხვ.

სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხ. ფილიპე მახარაძე, ეფენდიევი, ანანიანი, მუსაბეკოვი, გ. სულთანოვი და სხვ.

სესია გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ.

სესიამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება ა.-კ. სფსრ-ის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ 1932 წლისათვის (მომხსენებელი ამხ. მუსაბეკოვი, თანამომხსენებელი ამხ. ფირუმოვი.
2. მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ერთიანი საფინანსო გეგმის შესახებ 1932 წლისათვის ა.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებით (მომხსენებელი ამხ. ერემიანი, თანამომხსენებელი ამხ. დოგადოვი).
3. ა.-კ. ცაკის პირველი სესიიდან მეორე სესიამდე მიღებული საკანონმდებლო აქტების დამტკიცება (მომხს. ამხ. სულთანოვი).
4. საორგანიზაციო საკითხები.

საკითხი საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანებისა და საბჭოთა ძირეული აპარატის განმტკიცების შესახებ. სესიის დადგენილებით, მოიხსნა დღის წესრიგიდან და გადატანილ იქნა განსაკუთრებულ თათბირზე, რომელიც მოწვეული იქნება მიმდინარე წლის მარტსა ან აპრილში.

შემდეგ სესია გადადის დღის წესრიგის საქმიან მუშაობაზე. დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი, რომელსაც სესია შეხვდა მქუხარე ტაშით (ადს).

პროფ. ზაქარია ჯანჩაველის გარდაცვალება

იანვრის 24-ს დილის 6 საათზე გარდაიცვალა პროფ. ზაქ. ჯანჩაველი. იგი განაგებდა ბოტანიკის კათედრებს პედაგოგ-ინსტ.-ში და სას. სამეცნიერო ინსტიტუტში.

განათლების კომისარიატთან შესდგა დამკრძალავი კომისია განათლ. კომისარიატის, [illegible] ინსტიტუტის წარმომადგენლებისაგან.

—26 იანვარს, საღამოს 5 საათზე ბინიდან ცხედარი გამოსვენებული იქნება პედინსტიტუტის შენობაში. დაკრძალვა 27 იანვარს დღის სამ საათზე.

თბილისის სახანძრო რაზმის 10 წლის თავის დღესასწაული

24 იანვარს თბილისის წითელდროშოვანმა სახანძრო რაზმმა იდღესასწაულა თავისი არსებობის 10 წლის თავი. დღესასწაულის აღსანიშნავად საღამოს 5 საათზე თავისუფლების მოედანზე გაიმართა თბილისის ყველა სახანძრო ნაწილების გაერთიანებული აღლუმი პრაქტიკულ ვარჯიშობით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა მეხანძრემ. ვარჯიშობას დაესწრენ — მთავრობის და პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ნაჩვენები იქნა ხანძრის ქრობის სხვადასხვა მეთოდები და საშუალებები.

საღამოს 7 საათზე აღლუმის მონაწილეები მივიდნენ პროფსაბჭოს შენობასთან, სადაც ამ დროისათვის დანიშნული იყო 10 წლის თავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომა.

სხდომა, რომელსაც მრავალი საზოგადოებრივ-პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრენ, გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბაგრატ მაჩაიძემ. ორატორმა აღნიშნა თბილისის წითელდროშოვანი სახანძრო რაზმის დამსახურება თბილისის წარმოება-დაწესებულებების და მთელი სახალხო ქონების ხანძრისაგან დაცვის საქმეში და მოუწოდა მეხანძრეებს, რომ მომავალშიაც მათ კვლავინდებური ენერგიით იბრძოლონ სახალხო დოვლათის ხანძრისაგან დასაცავად.

სახანძრო რაზმის მიერ განვლილი ათი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ხანძრისაგან დაცვის სამმართველოს უფროსი ამხ. ალ. ბერიძე.

შემდეგ მოსმენილ იქნა მისასალმებელი სიტყვები და დეპეშები — ბაქოს, ბათუმის, ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის და სხვა ქალაქების მეხანძრეთაგან.

დასასრულ დარიგებულ იქნა საჩუქრები. სახანძრო რაზმში ხანგრძლივი თავდადებული მუშაობისათვის შრომის წითელი ორდენებით იქნენ დაჯილდოვებულნი—ამხ. ალ. ბერიძე, გიორგი ლითანიშვილი, შამშე ბაზიერი (მეძილეთა გუნდის გამგე) და ნიკიტა ლომოვი (მეხანძრე).

მაჯის საათებით და სხვა საჩუქრებით დაჯილდოვებულ იქნა 17 საუკეთესო დამკვრელი მეხანძრე, ხოლო 42 დამსახურებულ მეხანძრეს საჩუქრათ მიეცათ თითო თვის ხელფასი.

საბჭოთა მწერლების ფედერაციაში

საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე ამხ. სიმონ წვერავას სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო, ფედერაციის პ.-მდივნად არჩეულ იქნა ამხ. პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

ამავე სხდომაზე ფედერაციის პრეზიდიუმში დამატებით შეყვანილ იქნა რამოდენიმე წევრი.

პრეზიდიუმში შედიან: ამხ. მარიამ ორახელაშვილი, ს. თოდრია, შ. რადიანი, დ. დემეტრაძე, პან. ჩხიკვაძე, არ. ჰუმბაძე, სიმ. წვერავა, ტ. ტაბიძე, ალ. მაშაშვილი, რ. გვეტაძე, ივ. ვაშაყმაძე. გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი, ნ. მიწიშვილი, ნ. ზომლეთელი, ს. შანშიაშვილი, დ. ჯდარკავა (დამკვრ. მუშა) დ. შენგელია, კ. კალაძე, სიმ. ჩიქოვანი .ალ. ქუთათელი, ს. ეული, ვ. ლუარსაბიძე, დ. სულიაშვილი, კონ. ლორთქიფანიძე, პ. იაშვილი, ხ. თალაკვაძე, ვ. პოლუმორდვინოვი.

დისკუსია მხატვართა შემოქმედების გარშემო.

26 იანვარს საღამოს 7 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13). საქარ. პროლეტარულ მხატვართა ბიურო აწყობს დიდ შემოქმედებითი დისკუსიას. საქ. საბჭოთა მხატვრების შემოქმედების გარშემო.

მომხსენებელი შ. დუდუჩავა. შესვლა თავისუფალია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 26 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დიდ დარბაზში (რუსთაველის ქ., № 21), საკავშირო კომუნისტური აკადემიის საბუნებისმეტყველო ასოციაციის დირექტორი ამხ. **მ. კოლმანი** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„სტალინის წერილი და საბუნებისმეტყველო ფრონტის ამოცანები“.**

მოწვეულნი არიან ყველა სამეცნიერო მუშაკები, ასპირანტები და ყველა მსურველები.

ვინაიდან ამხ. კოლმანი დღესვე მიემგზავრება მოსკოვში, ამიტომ მოხსენება დაიწყება სრულ 5 საათზე დაუგვიანებლად.

— **სარემონტო ქარხნის პარტკომი წინადადებას აძლევს ყველა ქვემოდ დასახელებულ პროპაგანდისტებს გამოცხადდნენ 26 იანვარს მეცადინეობის ჩასატარებლად პოლიტსკოლებში:** გრიგოლ კეკელია (სარ. ქარ.), ივანე ნაზარბეგოვი (სარ. ქარ.), კუჩეროვი (ა.-კ. კომ: უნ:)' ესაკია (სარ. ქარ.); იაგორაშვილი (სარ. ქარხანა); უნიაჭოშვილი (სარ. ქარხ.); იულაევა (ა.-კ. კომ. უნ:); ჩხიკვაძე (ა.-კ. კომუნ.); მდივნიშვილი (პედ. ინსტ.)' ჯღარკიაშვილი (სარ. ქარ.); ფანცხავა (მარქ. და ლენ. ინსტიტუტი); ბედენაშვილი (სარ. ქარხ.); ფერგიანი, ბოხუა (ელიავას სახ. ტეხნიკუმი 10-79)' ბარიგიანი (სარ. ქარ.); ს. ნუცუბიძე (ელიავას სახ. ტეხნიკუმი); დადიანი (ა.-კ. კომ: უნ.); ვოლკინი (რკ. გზის დირექცია), რუხაძე (პედინსტიტუტი); დოდელია (სარ. ქარხანა); ბ. გოგუა (ა.-კ. კომ. უნ:)' გოგონაშვილი (ელიავას სახ. ინსტიტუტი—10—73); ბელიძე (პედინსტიტუტი), კევლიშვილი (ა.-კ. კომ. უნ.); სოსელია (ეკონ. გამოკ: ინსტიტუტი 14-81), კოპალიანი (პედ. ინსტ.); ღამბაშიძე (პედ. ინსტ.); ბალოევი (სარ. ქარხანა)' კოხრეიძე (რაიპროფკავშირი); ახალკაცი (პედინსტიტუტი); ჩხარტიშვილი (პედ. ინსტ.), კარტოზია (სარემონტო ქარხანა).

—:—

— **ორჯონიკიძის სახ. რაიკომის** კულტპროპგანყოფილება იუწყება, რომ პარტწავლების მორიგ დღეს პარტქაბინეტში აუცილებლად უნდა დამუშავდეს 1931 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები და 1932 წლის საკონტროლო ციფრები. პროპაგანდისტები და უჯრედების კულტპროპები უნდა გამოცხადდნენ რაიკომის კულტპროპში დამუშავების მეთოდების გასაცნობად.

—:—

— **26 იანვარს, 12 საათზე, საქ. კ. პ. (ბ)** ცკ-ს კულტპროპში ამხ. გორდელაძესთან მოწვეულია თათბირი სპეციალურ საკითხზე. აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება: ნაზაროვი (წალკის რაიკომის მდივანი), მარიამ ორახელაშვილი, ნინო მახარაძე (გან. კომისარიატი); გვანცელაძე (რაისაკ. კომისია), დიმსოვი (ცაკი); იოვიდი (წალკის რაიაღმასკომის თავმ-რე), პოზოვი (წალკის რაისაკ. კომისია).

სახელ. ოპერა
26 იან. 6 აბ. 6 წ. ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით პიკის ქალი
27 იან 12 აბ. 7 წ. კუზიანი კვიცი
28 იანვ 17 აბ. 6 წ. ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით პიკის ქალი
დილის წარმ. იწყება დღ. 12 ს. 15 წ. საღ. 8 საათზე. აბონენტები, რომელთაც მე-6-ე საბ. შესატანი არ გადუხდიათ, წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი. ნ. 201

რუს. თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით
28 იანვარს აბონემენტის გარეშე განგაში
დასაწყისი 8 საათზე. ნ. 202

სახ. დრამა სსრ. სახ. არტ. კ. მარჯანიშვ. ხელმძღ.
26 იანვარს ხელოვან. სას. ფონდ. გასაძლიერებლად ურიელ აკოსტა 19 იანვ. ბილ. ძალაშ.
27 იან 4 აბ. 6 წ. პური
28 იანვ. აბ. გარ. როგორ „ბეგლარი“— უშანგი ჩხეიძე
1 თებერვალს უნდა იყოს შემოტანილი მე-6 გადასახადი. ნ. 205

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.
დღეს ცნობილი მწვრთნელი ნ. პ. გლადილშჩიკოვის პირველი გამოსვლა მხეცთა შერეული ჯგუფით და ბევრი სხვა საინტერესო ნომრები.
ნ. 203

ხმოვანი კინო ოქტომბერი (ყ. აპოლო) სეან. 12.2.4,6-30.8-30,10-30.
დღის კინო სპარტაკი სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო სპარტაკი სეან. დას. 6. 7-30. 9. 10-30.
კინ დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6. 7-30. 9, 10-30.
რ. ლიუქსემბურგ სახ (ყოფ. ბიომიონი) სეან. დას. 6-30. 8. 9-30, 11.
კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30. 9. 10-30.

მე-3 თვეა მიდის სურათი ახალი სიოვრებისაკენ
ახალი მხატვრული სურათი მიწის სისხლი
პროგრამის გარეშე წყალქვეშა ნავი
გაროლდ ლოიდი სურათში მორცხვი
ახალი იაპონური სურათი სუმიკო
მის მენდ მეორე სერია

ფაბკარხკომების, ადგილკომების და მეჯ-ორგანიზაციების საყურადღებოდ
წყალქვეშა ნავი „მებრძოლ უღმერთოს“ ფონდისათვის შეგროვილი თანხები სამი დღის განმავლობაში შეტანილ უნდა იქნეს
სახბანკის ა/კავკას. კანტორაში (თბილისი-ანგარიშზე № 86206
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქ. უღმერთოთა ცენტ. საბჭოში (თბილისი, რუსთაველის 31, ოთახი 39).
წყალქვეშა ნავი „მებრძოლ უღმერთოს“ სახსრების შემგროვებელ საქართ. შტაბი 679

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება. მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა“-ს პირდაპირ, ტელ. 12—67.
25—16 8004

ექიმი მ. ღ. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტროსინათლის სამკურ. კაბინეთი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ. 7—8. ტელ. № 21-45. 25—18

შვილები: ისიდორე, ვალოდინ, ალექსანდრე, კლემენტი გრიშა თავიანთი ცოლშვილით, ნინუცა შვილებით იუწყებიან საყვარელი დედის და ბებიის **სადიკო აბულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს. სოფელ კვახჭირში. 653

ბიძაშვილები: ნინა, იოსკა, შუშანა და ნატაშა ვაწაძეები ესტირიან სიცოცხლით სავსე მამიდაშვილს **დავით ალექსანდრეს-ძე აფრაძის** უდროოთ გარდაცვალებას. 664

გულდამწვარნი: ვალიკო, ლევანი, შვილები: ცაცი, ლუბა, გოგი, თამარი იუწყებიან, რომ 28 იანვარს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ **თამარა სოლომონის ასულ ანთიძე-დოლიძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 662

მშობლები: ნიკო და მარო, დები: ელო, და ანო, ბიძა სანდრო ბადალოვები, მამიდა ვარა. პაპა გიორგი იუწყებიან **ლადო ბადალოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა დ. თიანეთში 25 იანვარს. 680

ერწო-თიანეთის ა.ლ.კ.კ. რაიკომის ბიურო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კომკავშირელ ამხანაგის **ლადო ბადალოვის** უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდა 25 იანვარს დაბა თიანეთში. 680

გოგი შუშანაშვილი იუწყება ამხანაგ **ლადო ბადალოვის** უდროოდ გარდაცვალებას. 641

ტანსაცმლების საწარმოო კოოპერატიული არტელი „ნაწარმი“ შეუშვრომდა ამავე ტიპის „პერედელკა“-ს 20 იანვრიდან 1932 წ. ყოველივე პრეტენზიებზე პასუხს აგებს არტელი „პერედელკი“-ს გამგეობა.
640 არტელ „პერედელკა“-ს გამგეობა.

1932 წ. 5 თებერვალს საღამოს 6 საათზე შესდგება სრულ. საქ. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მე-2 რესპუბლიკანური კონფერენციის გახსნა „წითელ ოქტომბერი“-ს კლუბში ივანიძის (ყოფ. აკიმოვის) ქ. № 3.
ნ. 204 3—1 ცენტრალური გამგეობა

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ საქ. აბრეშუმ-ტრესტი მიწსახკომის შენობიდან გადავიდა ახალ შენობაში პლეხანოვის ქ. № 184 მუშტაიდის ბაღის პირდაპირ. 645

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად
კავშირის წიგნაკები: ქსენია ჰუბაბრიასი № 23473. ალექსი ლორთქიფანიძის. სამხ. წიგნ. ალექსი ლორთქიფანიძის. სხვა და სხვა საბუთები. საპენსიო წიგნაკი № 23 მარიამ მდ ბრიშვილის. № 62

დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე, მეუღლე კატო ნუკუზარიით და თინიკოთი, და ძმა ქეთო, მარო ქმარშვილით, გოგია ცოლშვილით და ლევანი იუწყებიან დაუვიწყარი **შაქრო ჯანჩაველის** გარდაცვალებას. ბინიდან პედინსტიტუტში გადასვენება დღეს, დაკრძალვა იანვრის 27-ს 2—1 661

საქ. სახ. სა ოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია პედპერსონალი და სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ბოტანიკის კათედრის გამგე პროფესორ **ზაქარია ალექ.-ძე ჯანჩაველის** უდროოდ გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედ. ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კათედრის გამგის პროფ. **ზაქარია ალექ.-ძე ჯანჩაველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 იანვ. დღის 3 საათზე. გამოსვენება ინსტიტუტის შენობიდან. ნ. 206

საქართველოს პედაგოგ. ინსტიტუტის დირექცია და პედაგოგ. პერსონალი მწუხარებით აუწყებს პროფ. **ზაქარია ალექ.-ძე ჯანჩაველის** გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდ, 26 იანვ. 5 საათზე (ვაკე) ბარნოვის ქ. ინსტიტუტის შენობაში. სამოქ. პანაშვიდი 7 საათზე. დაკრძალვა 27 იანვარს 3 საათზე. ნ. 200

საქართველოს პედ. ინსტიტუტის ბიურო კოლექტივი, ალმასბიურო და ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება პროფ. **ზაქარია ალექ.-ძე ჯანჩაველის** გარდაცვალებას. გამოსვენება პედ. ინსტიტუტის შენობიდან იანვრის 27-ს ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 206

საქართველოს პედ. ინსტიტუტის აგრო-ბიოლოგიური განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება ბოტანიკის კათედრის პროფ. **ზაქარია ალექ.-ძე ჯანჩაველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 იანვ., დღის 3 საათზე, გამოსვენება ინსტიტუტის შენობიდან. ნ. 206

მშობლები: ილარიონი და მაკა, დები: მარია, სონია, ძმა ელისე, რძალი კალერია ქერქაძეები, ანიჩკა, მიტროფანე, ორელი ციცია ძეები აცნობებენ საზოგადოებას, რომ 28 იანვარს თელავში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **თამარა ქერქაძე-მათიაშვილის** 677

და ვერა, სიძე დათიკო, შვილები: ნინა, კარლო, პოლიკო ჯაშები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 28 იანვარს თელავში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ **თამარა ქერქაძე-მათიაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 677

ექიმი გრიგოლ მათიაშვილი პატარა ვახტანგით იუწყება, რომ 28 იანვარს ქალ. თელავში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საუკუნოდ ხსოვნიდან განუშორებელ მეუღლის **თამარა ილარიონის ასულ ქერქაძე-მათიაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 677

ქორა და მარო მონიავები, გრიშა, ოლია და ვერა მერკვილიშვილები დაესტირით უდროოდ დაკარგულ სიცოცხლით სავსე ბიძაშვილს **ალიოშა თემურას-ძე თოფურიას** 663

დამწუხრებული დედა ემმა, მეუღლე ხოლ, შვილები: მაყვალა, იზოლ, ბიჭიკო და თინა იუწყებიან, რომ 28 იანვარს, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ **თამარა ანთიძე-დოლიძის** 662

დამწუხრებული ცოლი ნინო. შვილი სიმონი, რძალი ქსენია, შვილიშვილებით იუწყებიან, რომ 26 იანვარს ს. კულაშში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **პავლე ბიჭიას-ძე შენგელიას** ხსოვნის აღსანიშნავად. 678

მეუღლე ვანო, შვილი რუსიკო, მშობლები: იულია და კოლია იუწყებიან დაუვიწყარ **ქეთო (ფუთუშა) ნემსაძე-ძაძამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, 28 იანვარს (ინტერნაციონალის 96) 643

საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის ორგანიზაციები, კომუჯრედი, დირექცია, ადგილკომი და სტუდენტთა პროფკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ინსტიტუტის დოცენტ ი. ძაძამიძის მეუღლის **ქეთოს** გარდაცვალების გამო. 644

ტერეზა, ლილი, აკაკი ფილაკები იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ **ფუთუშას** (ქეთო ნემსაძის-ასულ ძაძამიძის) უდროოდ გარდაცვალებას ქუთაისში. დაკრძალვა იქვე 28 იანვარს 4 საათზე. 643

თამარ მერკვილაძე, მაგდა გოკიელი და თამარ ოყრეშიძე მწუხარებით იუწყებიან საყვარელ მეგობრის და ამხანაგის **ფუთუშა ძაძამიძის** უდროოდ დაკარგვას. 673

გაუბედურებული მეუღლე გალაქტიონი, დედა ილიტე, ძმები: ალექსანდრე, გერონტი, დები: კოტია კალისტო ქევანიშვილები იუწყებიან **მარუსია მიხ.-ას. ქევანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება მუხრანის ქ. № 19, 4 საათზე. დაკრძალვა დღეს კუკიის სასაფლაოზე. 641

მშობლები: მიხეილი და ეკა. ძმები: ალექსანდრე. მინა, კალისტე კობახიძეები ცოლშვილით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი **მარუსია მიხ.-ას ქევანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება მუხრანის ქ. № 19, დღეს, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი სიძეები: სილო სირაძე ცოლი ეფროსინეთი, ა. სანდრო მაცაბერიძე ცოლი ლიზათი და შვილი გრიშათი დაესტირით დაუვიწყარ **მარუსია მიხ.-ას. ქევანიშვილის** ცხედარს. გამოსვენება, მუხრანის ქ. № 19 დღეს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 641

უაღრეს მწუხარებაში მყოფნი ბიძაშვილები: ალექსი, გიორგი, საშა, ცოლშვილით ჟენია, სეფე, სეთი ვაჩნაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი მამიდაშვილი **დავით (დათიკო) ალექსანდრეს-ძე აფრასიძე** 647

დამწუხრებული ქალიშვილი ანეტა, სიძე ვიქტორ ბოხუა შვილებით: ანგელინა და გულინარათი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ, საყვარელ **ივანე დავითის-ძე გაბუჩიას** გარდაცვალებას. 675

ღრმად დაიწუხრებულნი ძმა დავით, რძალი მარიამი ნიკოლაიშვილები, შვილი ანიკო სიძე ბიქტორი, შვილიშვილი პატარა გაიოზი მარშანიები მწუხარებით იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ **ტრიფონ ვახტ.-ძე ნიკოლაიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 668

კულაშის აგროტეხნიკუმთან არსებული კომკავშირის ორგანიზაცია, პედპერსონალი და ტეხნიკუმის შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მესამე კურსის წითელი აგროტეხნიკოსის **გიორგი ნიკოლაიშვილის** უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა 26 იანვარს. 665

დამწუხრებულნი მშობლები: ლუკა სოლომონის-ძე არჩვაძე და ბარბალე ალექსის ასული, და ეთერი, ძმა გივი იუწყებიან საყვარელი **თამარას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26 იანვარს 4 საათზე ბინიდან, პეტრიაშვილის ქუჩა № 6 ვერის ახალ სასაფლაოზე. 658

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ბიძა არსენი, ბიცოლა ბარბალე, შვილები: მერი, ნინა, და სერგო მოწონელიძეები, რძალი ლილია შარაშიძე დაესტირით ძვირფას **თამრიკო არჩვაძის** უდროოდ დაკარგვას. 676

მე-15 საშ.-საქ. სკ. მასწავლებლები და მე-7 ჯგუფის მოწაფეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ **თამარა ლუკას ასულ არჩვაძის** უდროოდ დაკარგვის გამო. 657

დამწუხრებული მეუღლე, შვილები: გრიშა, ვენერა, მაკრა, ძმა სარკიონ მგალობლიშვილები ვაუწყებთ საზოგადოებას **ილარიონ მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა 24 იანვარს ჩოხატაურში. 665

დამწუხრებულნი მეუღლე ლიზა, შვილები: ნიკუშა, თამარა. ლუბა, კუცუნა, ძმა მელიტონ ცოლშვილით, სიძეებით, ცოლისძმა ვასილ არაბიძე ცოლშვილით აუწყებენ საყვარელი **მიხაკო მალაქ.-ძე გამცემლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 იანვარს ს. მაქათუბანში. 646

დამწუხრებულნი: ლევან და ნინა ენუქიძეები იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ დედის და დედამთილის **მარიამ მიხეილის-ას. ენუქიძის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 6 ს. მატინოვის ქ. № 32. გამოსვენება 27 იანვარს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 670

საქართველოს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამცველთა კოლეგიის წევრის **ქეთევან ნიკოლოზის-ას. ნემსაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 669

მეუღლე ეკატერინე, შვილები: ნინა, სულიკო, ძმები: ვანო, გიორგი, თამარა მინდიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ **იოსებ სოლ.-ძე მინდიაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე დღეს, 4 ს. 667

თავზარდაცემულნი: ბიძა და ბიცოლა პაპია შვილები შვილებით: იროდიონი, მაყვალა და სიძე იპოლიტე მეუღლით ნინოთი კავასიძეები იუწყებიან, დაუვიწყარი პატარა **კიმიკო ივანეს-ძე პაპიაშვილის** გარდაცვალებას. 666

ეკა და ვალოდია წულაძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათი საყვარელი რძლის მარგარიტა მეცხრიკაძე-წულაძის დედის **დესპინე მეცხრიკაძის** გარდაცვალების გამო. 665

ანიჩკა კოხრეიძე, ანნა იზნელი დარეჯან მაღალაშვილი, ლიდა ჩხაიძე, ჟიღო თალაკვაძე, ნინა პაიჭაძე, დარიკო ნუცუბიძე, გარსევან მგალობლიშვილი მწუხარებას გამოვსთქვამთ ამხ. მარგალიტას დედის **დესპინე მეცხრიკაძის** გარდაცვალების გამო. 651

დამწუხრებულნი: დედა დარია, ბებია ელისაბედი, ძმა მიშა, დები: საშა, ნინა. სონა და ლოლა, ბიძები: ივანე, ანტონ ჯორბენაძე ცოლშვილით იუწყებიან **თამარი ჯორბენაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 იანვარს. სურამში. 759

დამწუხრებული მეუღლე ანა, შვილები: სერგო, ჯიმშეთი, ნოე, კოტე, საშა და მირიან ჩხაიძენი იუწყებიან რო გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მამა **ანთიმოზ სპირიდონის-ძე ჩხაიძე** დაკრძალვა დღეს, 4 საათზე, ს. ასკანაში (გურია). 656

თავზარდაცემული მამიდა აკულინა, ბიძია არტემონი, მამიდაშვილები: ქეთინო და ციალა გუგუშვილები დასტირიან საყვარელ და დაუვიწყარ, სიცოცხლით სავსე ცქრიალა **პატარა ჟერიკოს** უდროოდ დაკარგვას. 681

მეგობრები: ზ. სოფრომაძე, დ. მელქაძე, პლ. კუპატაძე, ვალ. ბარამიძე, ს. ისაევი, ვ. კუბლაშვილი, თ. ანდღულაძე, მ. საყვარელიძე, ქ. მაჭავარიანი, გ. ფხალაძე, მ. კიკვიძე, კ. კლდიაშვილი, მ. იობაშვილი, ნ. ხიზაძე, ა. ალშიბაია. ა. შუკაკიძე, კ. მაღრაძე, გ. მეტონიძე იუწყებიან ამხ. შალიკო გურულის ბავშის **პატარა ჟერიკოს** გარდაცვალებას. 683

ქიათურის დახურული მუშკოოპის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამავე მუშკოოპის მთავარ ბუღალტრის შალვა გურულის ერთად ერთი ბავშის **ჟერიკოს** გარდაცვალების გამო. 682

დამწუხრებულნი შვილები: მარუსია, ვლადი, მერი და სისო ცოლშვილით, სიძე დავით პურადაშვილი, შვილის-შვილები: ხუჩუა, მარგარიტა, ილიანე ჟორჟიკა იუწყებიან **მელიტონ დავ.-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. გვაშტიბში 26 იანვარს. 642

სენმრეწვტრესტის თანამშრომლები: მ. ხოფერია, ლ. ა ამია, მ. ბი ვაია, ტ. საჯაია, ხ. ბუჩნავა, ვ. და ა. გაბისონიები, ქს. გვალია, ზ. შალამბერიძე, ლ. ბოკუჩავა, ს. ჩერაია, მ. ღვინჯილია, რ. გაბელია, თ. ჯალაღონია და მ. ჩიქოვანი ვაუწყებთ ჩვენი თანამშრომელი კირილე ქავჭავაძის დის **ბაბოს** უდროოდ გარდაცვალებას. 650

დამწუხრებული შვილები: გიორგი, მარგალიტა. სონია ალამაძეები [illegible] იუწყებიან საყვარელ დედის **ოლღა ივანეს-ას. ალამაძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საღ 6 საა ს გამოსვენება 2 იანვარს, 4 საა. ს., მეორე თუმანოვის ქ. № 8. 654

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა
მთავლიტის რწმუნებული ა 966